

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

15 მაისი 2009




№10(88)

1516  
2009



ბესო ხვედელიძის ნოველა  
ზიძინა ჩხვიძის მოთხრობა  
დემოკრატია და დიქტატურა  
შამუკა ნიკლაურის ლექსები  
ნატა ჯარადას ადრიანეს გალობა  
სიტყვა ღია სტურუან პოეზიაზე  
მარსელ ემეს ცოდების ამკრეფი  
ვინჩენცო პოჯი ქართულ კულტურაზე

# „საქართველოს მაცნე“ გთავაზობთ



მისამართი: თბილისი, სერგო ზაქარიაძის №14  
 ტელეფონი: (995 32) 39 07 27, ფაქსი: (995 32) 42 10 00  
 ელ-ფოსტა: office@sakmatsne.ge





შინაარსი

გაღი კამისა	2	ელგუჯა თავბერძე დროულიც, აუცილებელიც...
ვახარე-ინარიანი	3	ნაში ყვავილის გულში (თამარ შიშველაშვილს უსაბურობა მარიამ ნიკლაური)
გამოსავარება	5	მალხაზ ივანიძე გზავნილი ახალგაზრდებისთვის (ოლეგ გოლიაძის „საუბრები ეტიკეტზე“)
პროზა	6	ბიძინა ჩხეიძე მამაკაცის გული
	13	ბესო ხვედელიძე სიზმრების ახსნა
პირველი შთაბეჭდილება	15	ეფემოსი ბრტახაიის მეორე მხარე
პოეზია	16	მამუკა ნიკლაური გზავნილი ახალგაზრდა და სხვა ლექსები
პოეზიის პირველი წყარო	21	ნატა ვარადა ადრინანს გულზე
პირველი შთაბეჭდილება	21	საბა სულხანიშვილი ბლოგზე მამა ადრინანსი
სად წაიშვას სავარსა	22	ვინჩენცო პოჯი ქართული სულიერი კულტურა (გვატა შურლიას მონოგრაფია „აბო ტფილელის ნამებაზე“)
გარედი ხელნაწები	27	რიტა ბინდურაშვილი „ქრისტიანობა“ სავანეში (სცენაზე გაცოცხლებული მითი და რეალობა)
ნაწილი ყოველი წიგნისათვის	30	ეკა ბუჯიაშვილი სპეციალური მემორია... მითისპირისთვის (მერაბ ზურაბაშვილი)
წიგნები და წიგნი	34	გივი ალხაზიშვილი მონათველი წარსული
რამდენად	42	ქეთევან მეგრელიშვილი კვლავაც არჩევანის წინაშე (პაატა ჩხეიძის საჯარო ლექცია)
დაუთმონარი სავანე	44	ემზარ კვიციანიშვილი გზა დავუღწეოთ ამ წიგნსა (გრიგოლ აბაშიძე)
ქრისტიანობა	47	შოთა ბოსტანაშვილი სიტყვა ღის სტურუსს პოეზიისა
	49	როსტომ ჩხეიძე დამსხვრეული იდილია (გურამ მეგრელიშვილის მოთხრობა „მრავალჯერადი ბოთლები“)
ახალგაზრდობა და მთავარი	51	ლალი ჩხეიძე დემოქრატია და დიქტატურა
პოეზიის მარტივი ნაწილი	54	ნიზარ კაბანის ორი ლექსი
წარმომადგენელი	56	ნიკო ბუჩუკური ტრამპინი ორგანიზაცია
სახარის ნიშანი	57	მარსელ ემე ცოლბაის ამბავი
მონაწილე	63	დაუთმონებელი დაუბრუნდება!

26 6 79

46

დამფუძნებელი „ილიონი“  
 მისამართი: თბილისი,  
 ჩუბინაშვილის №41  
 რედაქცია - (995 32) 96-20-62  
 რეკლამა - (995 93) 65-93-68  
 გაერცელება - (995 99) 41-95-21  
 ფაქსი: (995 32) 96-20-62  
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე  
 პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი  
 პოეზიის რედაქტორი - მაცა ჯოხაძე  
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი - თამაზ ნატროშვილი  
 მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაჩულია დიხანერი - მალხაზ იაშვილი  
 სტილისტ-კორექტორი - ნინო დეკანოიძე დაკაბადონება - თენგიზ რომიშვილი  
 ოპერატორი - თამარ ჩიხლაძე სარეკლამო შენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი  
 გაერცელების სამსახური - ლევან კიკნაძე



საბავშვო გამომცემლობა „ილიონი“  
 LEONIDZE, TBILISI, GEORGIA, 17 SARAGSHILI STREET  
 TEL: 995 32 93 63 62

PRINTED BY "OMEGA TREE" PRINT HOUSE  
 TBILISI, GEORGIA, 17 SARAGSHILI STREET  
 TELEPHONE - 995 32 93 63 62

გარეკანზე: ბერიკები, ავთანდილ მონასელიძის ქანდაკება  
 მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფია


„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 29 მაისს

საბავშვო გამომცემლობა „ილიონი“  
 რედაქცია  
 თბილისი

ელგუჯა თავებრიძე

# დროულიც, აუცილებელიც...

თეიმურაზ დოიაშვილის მრავალმხრივ საყურადღებო ნერილის „ეფიქრობ, მომწიფდა დრო“ („ჩვენი მწერლობა“, 2009, 7) ნაკითხვის მერე ერთი აზრი ამკვირბა: ნორმალურ ქვეყანაში რომ გვეცხოვრა, ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრი მის სიბუნებრივად უნდა აღფრთხილებულიყო, რამეთუ მას ბევრი რამ შეეძლო ერთია და ეთქვა. და ეს სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, თითუმეტეს, კადნიერი საქმიანი პირიქით, XX საუკუნის ქართული მწერლობის კომუნისტური პერიოდის მართალი კვლევა ნარმოუდგენელია ამ ფოჯოხეთური რეჟიმის სულისშემუთხევი მარწმუნებისაგან შეწმენილი სულიერი ნიჟის გათვალისწინების გარეშე.



ოთარ ჩხეიძე

ერთ-ერთი უპირველესი სამიზნე იმ ნიჟისა ოთარ ჩხეიძე გახლდათ, კაცი და მწერალი, ათასგვარ ცდუნებას რომ სძლია და გაუტუნებელ, სულგაუყოფელ შემოქმედად დარჩა, ისეთად, როგორც უნდა იყოს ნამდვილი ხელოვანი ნებისმიერი დიქტატის მძლავრობის ეამს...  
 ოთარ ჩხეიძის ცხოვრება და შემოქმედება უნდა იქცეს ზნეობრივ ორიენტრად, ერთგვარ წყალგამყოფ ზღვარად, იმის შესაცნობად, როგორი იყვნენ, როგორი იყო...  
 მოკლედ, ცხოვრებაც ღრმა და მღელვარეა, ხეაღინდელ თაობათათვის მისხაბანი, და ნააზრევი მაღალკუმანური, საკაცობრიო ფიქრ-სატიკვიართ გაჟღენთილი. მისი ცხოვრებისა და მსოფლმხედველობის მომავალი შეკვლევარები სწორედ აქედან უნდა ამოვიდნენ, უპირველეს ის გაიაზრონ, რა პირობებში უზღებოდა რისი დაწერა და შექმნა, როგორი სულიერი შფოთვა-ფორაიკა გადაიტანა ნარბმეუბრელად, კალამაუქცევად.  
 ოთარ ჩხეიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემაც ამ ცენტრმა უნდა იყოს, მაგრამ უპირველეს ის უნდა გააკეთოს, რომ სრულყოფილად შეისწავლოს მწერლის ცხოვრება, მისი თითოეული ნაბიჯი, ნაფიქრ-ნააზრევი ფოჯოხეთურ ყოფაში, რათა დაადგეს იმ გზას, რომლის სავალის დიდი ნაწილი ოთარ ჩხეიძემ გაკაჟა.  
 ოთარ ჩხეიძის კვლევის ცენტრის მთავარი საქმე მგონია, ახალგაზრდობის გააცნოს ამ დიდი მწერლისა და მოაზროვნის ცხოვრება და შემოქმედება.  
 საოკრიო, ჩემს თვალში (და ალბათ ყველას დასახებად) როგორ მრავალდებიან ოთარ ჩხეიძის თაყვანისმცემლები, მისი პროზითა და ბიოგრაფიით აღფრთოვან-

ნებული მკითხველები. იყო დრო, ქუთაისში, მცირეზე მცირე რომ კითხულობდა, ახლა ათასები ეტანებიან და ესნარაფიან „ძნელად ნასაკითხ მწერალს“ (მამინდელი ტერმინი).

ეს პროცესი არ უნდა შენდელეს, მართალია, ადრე იქნება თუ გვიან, ოთარ ჩხეიძე მაინც დაიმკვიდრებს თავის კუთვნილ, რჩეულთა შორის რჩეულის ადგელს, მაგრამ, სჯობს, ეს ადრევე მოხდეს. თავში ეთქვი, აქამდეც რომ მომდარყო, აჯობებდა, უკეთესი ქვეყანა გვექნებოდა, უკეთესი ქართველობა გვეყოლებოდა.

უამრავი რამის შესწავლა იქნება აუცილებელი — ოთარ ჩხეიძე, როგორც პოლიტიკოსი, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება და ა.შ. მისი შემოქმედება ამის და კიდევ ბევრი სხვა რამის ამოურნევაი საგანძურია.

როსტომის ვრცელი ბიოგრაფიული რომანიც აკვისტოს შეილება უმალ ამას გაფიქრებინებს.

ასე რომ, ოთარ ჩხეიძის კვლევის ცენტრის დაარსება დროულიცაა, აუცილებელიც.

ბატონო თემურ, როსტომიც გამორჩეულად გაუძღვება ამ საქმეს. იშვიათობაა ჩვენს დროში, კაცს რაიმე საკითხი ნამოყვრას და მისი გულმუხრავად განმხორციელებულიც დეისახელებინოს. დღეს ყველას ყველაფერი სათავისოდ უნდა. ცენტრის შექმნა საქვეყნო საქმე იქნება, საქვეყნო და მომავალ თაობათათვის სამუდამოდ გადასაცემი, ეს საკითხი სწორედ თეიმურაზ დოიაშვილს უნდა ნამოყვრა — ჩვენი დროის უწინებულეს ლიტერატურათმცოდნეს, მწერალსა და მეცნიერს, დაამიანს, რომელსაც საოცარი ადლო და შერქმენბა აქვს რაიმეს კვლევის აუცილებლობისა... უამრავთაგან ერთს — გალაკტიონოვლის კვლევის ცენტრს გაგასტენებთ. უცებ დაფიქრდეთ იმაზე, რამდენი რამ არ გვეცოდინებოდა გალაკტიონზე, ეს კვლევა რომ არ ნამოწყებულიყო. უამრავი! ჰოდა, ყოველივე ეს ბატონი თემურის დამსახურებაა.

სხვა რამის გახსენებაც შეიძლება — თემურ დოიაშვილის და ლევან ზრევაძის ტანდემი ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ყოველნაირად ცდილობდა ნებისმიერი აზრი, შეხედულება მარტო ადლოთი ყი არ ყოფილიყო ნაკარნახევი, არამედ ანალიზით, ღრმა განსჯითა და შეფასებით განმტკიცებული.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედების კვლევის ცენტრის დაარსების იდეაც, უპირველეს ასეთ მოვლენებს გაუკრთებათ გონებში, რამეთუ კარგად უწყინა, რა მოწყვება მას, რა მოსავალს მოვიგოთ საბოლოოდ.

ერთ ფიქრსაც გაგიმზელთ ბატონო თემურ! ისიც თქვენს წერილის ნაკითხვის მერე გამიკრთა გონებში. გორში ხომ არ აჯობებდა ამ ცენტრის დაარსება — სათავო ოფისი იქ იყოს, ფილიალი — თბილისში.  
 ეს ისე, სხვათაშორის...



# ნამი ყვავილის გული

საუბარი  
მარიამ ნიკლაურთან

— მარიამ, ერთ ლექსში წერს: «ესაა პოეზია — სამყაროს სიზრვის ახსნა»-ო. რას დამატებდით ამ ნათქვამს?

— დავამატებდი ყველაფერს, რაც დავერე და დავწერ. ეს ის პრობლემაა, რომლითაც პოეზია ყველაფერზე და არაფერზეცაა ერთდროულად, რეალურისა და ირეალურის ურთიერთობაა, ეჭვითა ერთობაა, ხილულ-უხილავი სამყაროთა კვეთაც, კაცობრიული დიდი და მთლიანი სულის მრავალსახეობაც, აზროვნების სისტემაიც, ენის საყდარაც, სალოს სულთა თავშესაფარაც... წმიდა მამა ბასილი წერს: «უფლის მიმართ სიყვარული უსწავლელ არს... ასეა პოეზიაც. ლექსის მიმართ სიყვარულიც უსწავლელ არს» — უფლისეულით, მისი არსებაც გრძელა — სიკეთესავეთ, განუმორჩეველია და უფლებამოსილი — სიციცხლესავეთ, აუსხელია — მშვენიერებასავეთ, გულთამაყრობლია — სიყვარულით, მოულოდნელი და მისაძნეველია — სიგრძნობელი, სიხარული გიორბადებს და დარდს გინახებერებს — შეგობრობასავეთ, მონანი და მსასოუბელია — მონამესავეთ, მიამბო — ბავშვიით... ზომ საკმარისია, თუნდაც ამის გამო ვეძებდეთ პოეზიას სამყაროში, ვეძებდეთ საკუთარი ადამიანობის საპოუნელადაც.

— როგორ ფიქრობთ, უნდა ჰკავდეს თუ არა ლექსის სტრიქონი პოეტს?

— ჰკავდეს? და არ ჰკავებს? მგონი, ჰკავებს, რადგან რაც უნდა გამტარი ვეძახოთ პოეტს, ლექსი მისი სულის გამოსახულებია, ანარეული ან ჩრდილია სულისა. მეტსაც ვიტყვი, სულბნისა ერთად, რადგან შემოქმედი ადამიანი საკუთარ თავში უმარავ სულერი ინფორმაციას ატარებს და ხშირად ეს ლექსები, გარდა დამწერისა ანუ მშობლისა, ჰკავებს დროსაც, წინაპრებსაც, სამშობლოსაც, სისხლის სხივით ნატარებ ათასგვარ მითსა და ანდრესს, ნესსა და ჩვეულებებს, ჰკავებს მომავალსაც კი, რომელიც შენზე უნდა დაწმენდეს...

— პოეტი სამშობლოს გამოერებაო, თქვა პოეტმა ლია ბედოშვილმა ერთხელ. ვთანხმდებით?

— სამშობლოსაც და სამყაროსაც, ერთგან ვწერ: «შენში სამშობლო იმდენია, რასაც შესძლებ და მიერევი». პოეტიც მაგებელია, რამდენსაც იტყვს სამშობლოსაც და სამყაროსაც, ცხატასა და სხივნას... გამოერებთ კი ნამდვილად იმეორებს იმას, რასაც სამშობლოდ მიჩნევს. ქართველ პოეტს ისტორიულად ჩამოუყალიბდა «სამშობლოს განცდა ვასაკეთებელი» და დაატარებს ამას, როგორც «რეჟისის კანონს», საინჟინურობრივი მცნებებივით და არც ტყუილურადღო! თუ პიროვნება, ზოგადად, და პოეტი, ეკრძობ, თავისუფლების ქურჭელი იქნება, სამშობლოც ეღიროება თავისუფ-

ლებს. ანუ არა მხოლოდ პოეტი ჰკავებს, პოეტსაც ჰკავებს სამშობლო... თუმცა პოეტი იმის პოეტიცა, სამშობლოს საზე მეტეფლისა და სიძველეთაც სიახლედ აღმოჩინოს.

— რაზე დაგწყვეტით გული ცხოვრებაში და ასახულია თუ არა ეს თქვენს პოეზიაში?

— რაზე? ბევრ რამეზე... ქართველ ადამიანს რა გულისსვეტაც აქვს, ურემოდაც მოგეტყვინებთ... «ქართული ტკივილი ამავითა»... დაიბ, ასახულია, პოეზია უტკივილოდ არც არსებობს, ტკივილი პოეტის სისხლია...

— ლექსი «კარნავალი» მარიამ ცვეტაევის მიუძღვნეთ. თარგმნეთ კიდევ მისი ლექსები. როგორ დაინერა ეს ლექსი?

— «პერსტროიკის» შემდეგ ბევრი ტაბუირებული მასალა გამოქვეყნდა. მათ შორის ცვეტაევის «თიერგვარდიული ლექსების ციკლი». ჩემთვის, მტკივნეულია მტრის ბოტების პოეზიად კითხვა. თუმცა არ მაფიუნდება, რასაც პასუხობს ჩემი მოგარე, ბურდეთ ლელა ნიკლაური, ანა კალანდაძე რომ ეკითხება ლექსში: «რასთვის აქებ, ქისტებს, ბერდელი?». რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა კვდასიაში დადესაც უმნიშვნელადანის პრობლემაა. მე ეს მოზრდილი ნაწარმიუბი (რომელსაც პუბლიცისტიკის სურნელიც უდის) შემამწვევინა იმის სურვილმა, რომ პოეტმა მხარი უნდა დაუჭიროს ზნეუბის და არა საკუთარი სახელმწიფოს ჯარსა და იმ დადებსა, რომელიც პატარა სახელმწიფოებისა და ერების სასიყვედილო განაჩენად ტყველდა... აკი ცვეტაევიც მსხვერპლი შეიქნა იმევე რუსეთისა. ინტერესებს ფორმატად არ იძლევა ამ თემის გაშლის საშუალებას... მიყვარს ეს ავტორი და «კარნავალი» მას «ქვასურბები» ჩვენი სამშობლოების უდიდეს პრობლემებზე...

— თქვენ მუშაობთ გამოცემლობაში, რადიოში მიყვავთ ორი საავტორო გადაცემა, საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეით, არ იფიქრობთ ახალგაზრდა თუ ხანდაზმულ კოლეგებს, გაქვთ ოჯახი, რომელიც დიდ დროს და ენერჯიას მოითხოვს ქალისაგან. რიდისლა წერთ ლექსებს?

— ვწერ მაშინ, როდესაც სათქმელი და თვითონ გროვდება, როგორც ნამი ყვავილის გულში ანუ ფიქროვავდე. დილაადრინ, ღამით, გზაში, საქმიანობისას, ყველგან და ყოველთვის, როცა ინერვა ლექსი თვითონვე და ჩვენი, უბრალოდ, კლმინანი ხელი უნდა მეცხველით...

— ამ ბოლო დროს სათქმელს უფრო არატრადიციული სალექსო ფორმით გამოხატავთ. რამ განაპირობა ეს?

— თავისუფალი დრო გაქვთ?





— უმჯობესია, მკითხოთ, მაქვს თუ არა თავისუფლად ფიქრის დრო?

— როგორ დაიწერა „მეფარნე“?

— „მეფარნე“ ისევე, როგორც სხვები... ფიქრით... გვტყვნიან, რომ ვიღაც წერის ასე ხელთ. მეგობარს მიუძღვნენ და მაშინვე ვთქვი, შენ დავიარეკე წიგნს, თუ გამოვეცი-მითქი. ახლა კიდევ, მაგრამ მოქანდაკე ირაკლი წულაძეს რომ „მეფარნის“ ქანდაკება არ დაედვა კონკასთან, მე და ჩემ პოეტ მეგობარს რომ არ ჩაგვევლო მერე იმ ქანდაკებასთან, არც ეს ლექსი დაინერგებოდა.

— ახს ნიშნავს თქვენთვის მეგობრობა?

— უფიქრფასეს და სულთ მონათესავე ადამიანებთან ურთიერთობის ბედნიერებას. ბევრი არ მყავს ასეთები, მაგრამ მყავს... და ოუმოროთ თუ ვიტყვი, მგონია, ჩვენ გილგამეში და ენქლადუ ვართ და ერთმანეთს ვეხმარებით, რომ უკეთესები ვყოფი, უკეთ ვიფარებო, უკეთ ვწეროთ, უკეთესი ხილვები ვისიზნოთ, უკეთ გავივარდოს, უკეთ დავებარცხედო და უკეთ გავიმარჯვოთ, უკეთ ვატაროთ ჩვენი ნილი მარტოობა, უკეთ წარვდგეთ ანგელოზებთან. ასე მგონია, ერთი ადამიანი მაინც არსებობს მეგობრებში, რომელთანაც ისეთი ხარ, როგორიც დღერთ სურს, რომ გვიხილოს.

— ახალმა საუკუნემ მწერალს თავისუფლება მიანიჭა. თქვენ როგორ აღქვამთ თავისუფლებას?

— ბედნიერება თავისუფლება! პირველყოფი, მწერლურიც, მოქალაქეობრივიც... მაგრამ ვითომ მოვცანიჭა ახალმა საუკუნემ თავისუფლება?

პირველთ მგონია — ათას სამხრელებას მივგაბორკა და დაგავიძინა!

— ქართული პოეზია უამრავი ახალი სახელი გამოიჩინა. თქვენთვის რომელი ტენდენციიაა მისაღები და რატომ?

— პოეზიაში ტენდენციებიცა და მიმდინარეობებიც, ნაცნობი და ახალი სახელებიც, ნიჭიცა და უნიჭობაც, სიძაბუნდევაც და პასუხისმგებლობაც, ისეა დღეს ერთმანეთში ალუფსული, მე კი არა, პროფესიონალ ლექსმცოდნესა და ლიტერატორს გაუჭირდება აქ გარკვევა. ახალი ქართული პოეზია არცთუ ისე კომფორტულ პირობებში იბადება: ჯერ კიდევ შეუმოდგარი სახელმწიფო, ომი, ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული იდუოლოგიის არქონა, ცირმაგი სტანდარტები, კულტურაზე ზრუნვის დაბალი მაჩვენებელი, ზნეობრივი კატეგორიების გადაფასებისა და ცვალებადი გარემოს არსებობა.

ახალი პოეზია მაინც იქნება. შეიძლება მას 70 წლის პოეტი ქმნის, შეიძლება 25 წლისა, მაგრამ ის ახალია, ვგრძობთ. ლექსში, მისთვის დამახასიათებელ ღრმა პოეტურ აზროვნებასთან ერთად, უნდა შეინარჩუნოს მინიერებაც, რელიგიურობაც, ლირიზმი, მუსიკალურობა, ამაღლებულისაკენ მიმართვა, ნიჭიანობა და სხვა ბევრი კარგი რამ, მკითხველმა კი — ინჭიერებასაღმი მოთხოვნალება და მიმდებლობა! დე, ნურცაერთ მიმდინარეობაში და „იზმში“ ნუ მოხვდება პოეტი. დე, სრულიად ახალი სიყრცე და სიტყვა გვაპოვნინოს მან. დე, უძველესი „მოგვასაბოს“ ახლად, მაგრამ, თუ ეს ყველაფერი შეძლებს თანამედროვე ადამიანისა და ენის, როგორც „ცნიებრივების სახლის“ ურთიერთპარამონიზმი მოყვანას, გაძლიერებას, ე. ი. ყველაფერი რიგზეა.

— ფიქრობთ, რომ სათანადოდ აღისაზრდა დღევანდელი საზოგადოების პრობლემატიკა თანამედროვე პოეზიაში?

— დიას, აისახება, თუ მკითხველამდე მივიდა და სწორად შეუფასდა ასეთი პოეზია. დღევანდელი მხარადიული პრობლემატიკა ეგერაბა პირიზისათვის უფრო ხელსაყრელი დროა. მაგრამ პოეტები უფრო ღრმად ფიქრობენ. ნამდვილი შემოქმედებები არ ხმარობენ, ისინი თავიანთ ახალ სამყარობებს ქმნიან, თავის თავში წვევებენ ამ პრობლემებს და ერთ მშვენიერ დღეს გვაოცებენ არა მხოლოდ იმის გადამწყვეტით, რაც ამჟამად გვიჭირის, არამედ იმის გადამწყვეტითაც, რაც სამომავლოდ გავგიჭირდება... დემოკრატის მონაბოჯარია, რომ ადამიანს აღარ აწუხებს „კოლექტივიზმი“. არ თვლის საკუთარ თავს მთლიანს მექანიკურ ნაწილად. ინტელტურად (სხოტის დონზე) სადღაც, ახლოს, უფლის არსებობას გრძობს. იქნებ რელიგიური, მითოლოგიური სახე-სიმბოლოებით, იქნებ მისტოფიკაციით, იქნებ სრულიად ახალი ენით იმილიზიან ტკივილებში ენა ხომ ჩვენზე მეტად აზროვნებს და ისიც იცის, რომ დღევანდელ სატყიარს ნაკლებად შეუღის პოეზია. რომელიც ისევეა შეცვლილი, როგორც თანამედროვე ადამიანის მენტალობა... პოეზია უფრო „ერთი ადამიანის სულის საგად“ იქცა, ნაკლებად პლაკატური და პათეტიკურია, მაგრამ ათასჯერ თავისუფალი, ვიდრე იყო. მას, უზარალად, ყურს არ უშვებდნენ. არც კი იცნის ხშირად მისი არსებობის შესახებ...

— ამ ბოლო დროს ქალი-ავტორების წილი ძალიან გააქტიურდა. რით ხსნით ამას?

— ქალბატონები არა მხოლოდ ხელოვნებაში, ყველა სფეროში გააქტიურდნენ. ეს მშვენიერია! ალბათ ჩვენი მამაკაცი ხელოვნებში შევეუღებთან ამას თანდათან. მგონია, რომ ეს კანონზომიერია: ქალის სამყარო გაცილებით ახლოსაა ხელოვნებასთან, ქმნადობასთან, ფანტაზიასთან, სულიერებასთან, ნაყოფიერებასთან, სიმშვედესთან, სიყვარულთან. ტყუობა, სამყარო იგრძნო ამის უკმარობა და ქალის რესურსი მეტად ააშუშავა.

— მარიამ, თქვენ საბავშვო ლიტერატურაშიც მოღვაწეობთ. რა პობლემები აწუხებს დღეს საბავშვო მწერლობას?

— „საბავშვო“ ისეთივე უძველესი მწერლობაა, როგორიც „საადოლ“. მუმერებთანაც კი გვხვდება პერსონაჟი, ონჯარი მიამერი, ლუსილუსი. საგარაუდოდ, ეს მაინუნის საბავშვო ლიტერატურის უძველესი პერსონაჟია. საბავშვო ლიტერატურასთან ურთიერთობისას, ერთ დღესკენდებო შევიდა: საბავშვო ლიტერატურა საერო ლიტერატურის ყველაზე საბუნწუნებრივი დარგია, რადგან იგი დაუძველელი რწმენის მაგარებელია, სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში სიკეთის უცილობელი გამარჯვებისა. სადღეო ლიტერატურა კი სულ ეჭვებს ებრძვის და ვერც ამარცხებს ასე პირნიზიანად, როგორც საბავშვო; ადამიანი საბავშვოს წიაღში სულ გამარჯვებულია და ფსიქოლოგიურადაც, სულიერადაც, ფანტასტიკურად გრძობს თავს. მაგრამ აქაც უამრავი განსხვავებული მიმართულების პრობლემა: საბავშვო მწერლის, გამოცემლისა და მკითხველის ყველას თავისი გასაჭირი აქვს. შემოქმედა, გესაბოლოო ყველა წერილმანზე, მაგრამ ამაზე მოკლედ თქმა შეუძლია...

დღეს გამოცემულს გაცილებით იაფი უჯდება უცხოური წიგნის „საგამომცემლო უფლებების“ ყოფდა და ზისხენ



სის წარმოება „ნიგნის ბაზრის“ კარნახით. ამიტომ მას უარჩევნია, შეიძინოს მზა ნიგნები საზღვარგარეთ, შემეცნებითი თუ ლიტერატურული პროექტები და კარგად რეკლამირებული სახელი გამოსცეს, ვიდრე ქართველ მწერალზე, მის ილუსტრირებაზე, გამაირებაზე, გაყიდვასა და პონორარზე დაიხარჯოს. ქართველ ავტორთა უმარჯველესმა „თამაშავარ მდგომარეობაში“ რჩება და მსოფლიო ავტორთა პირისპირ არათანასწორ საკონკურენტო გარემოში უნეტე საქმიანობა. არ არსებობს საყმანვილო პერიოდიკა, ლიტერატურული კონკურსები, ნიგნთაშ ბავშვის დახლოების პოლიტიკა, თანამედროვე საბავშვო ავტორთა ნაწარმოებების კვლევა-რეცენზორება და სხვა. თანამედროვე საბავშვო მწერალი მეტ მხარდაჭერას მო-

ითხოვს, ბავშვების განათლება და აღზრდა ხომ — კიდევ უფრო მეტს! ეს ერთი მთლიანი სფეროა!

— ამჟამად რა სიახლეს უშაზადებთ მკითხველს?

— მალე ორი ახალ ნიგნს შევთავაზებ მკითხველს: „საიდო“ და „საბავშვო“ კრებულებს. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო გამომცემლობა „პეგასი“, რომელიც ჩემი საყმანვილო ლექსების პროექტს აწმადებს მხატვარ ნანეიკო ბურდულუაშ ერთად.

ღმერთო, შენ უღზინე ჩვენ საქართველოს და მიეცი მას მშვიდობა და გონიერება, ალდგამოს სიხარული!

ესაუბრა  
თამარ შაიშვილავილი

გამოსმაურება

მალხაზ ივანიძე

გზავნილი  
ახალგაზრდებისთვის

ეტეკეტე — კარგად დაფიწყებული ძველი. მითუმეტეს, ჩვენს დროში, ცდომილებათა და ცდუნებათა ხანაში, როცა ქვეყნის წესების დაცვა საწითირო ტონად ითვლება.

დაფიწყებას იძლევა თითქმის ყველაფერი, რაც ეტეკეტს უკავშირდება — სამეტყველო სტერეოტიპებიდან მოყოლებული ჯენტლმენობის კანონებით დამთავრებული. სამეტყველო, ქვეყნის, ჩაცმის, თავდაჭერის, სტუმარ-მასპინძლობის, ოჯახური ყოფის, საქმის, საყოფაცხოვრებო, მეგობრობის, სიყვარულის, მშობის, სხვადასხვა ურთიერთობების წესები, ადათები, ჩვეულები, ტრადიციები...

თუმცა ბუნებაში არაფერი იკარგება. რაც ადამიანებს აფიწყდება, ნიგნებს „აბასოფრდება“.

„საუბრები ეტეკეტზე“ — ეს კრებულები დაფიწყების სტიქიამ შექმნა როგორც შეხსენება, როგორც შენიშვნა ან მითითება დრო-გამის სკოლიში.

კრებულები შეადგინა, მასალები თარგმნა, წინათქმა და მოსაზრება — კომენტარები დაურთო ოლეგ გოლიაძემ. კომპიუტერული უზრუნველყოფა: სოფიო კობალაძე. გამოყენებულია უცხოენოვანი ლიტერატურა და ფრანგი მხატვრის ფან ფელის ოუმორისტული ნახატები. გამომცემლობა „ქართული სასწავლებელი“.

თითქმის არ არსებობს კულტურული სამყარო, რომელსაც ეთიკისა და ეტეკეტის გარეშე რაიმე ღირებული შეეძინას.

გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ჩვენ ვართ. ჩვენი ცნობიერება და ხასიათი ეთოსის დაუნერული კანონების

სუსუნა ვეფვიტე



მხივებით ჩამოყალიბდა. შესაძლოა ეს ნიგნიც სწორედ შეხსენება ან ერთგვარი მინიშნება იყოს ამის თაობაზე, ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ავტორი ცდილობს ქართულ რეალობას დაუკავშიროს ეტეკეტის წესები და მათი ინტერპრეტაციები.

როგორც წინასიტყვაობა გვამცნობს, კრებული უწინარესად უფროსი თაობის მოსწავლეთათვისაა განკუთვნილი, ოღონდ ეს არ არის ეგრეთ წოდებული „ყოფა-ქვეყნის წესები“ და, კაცმა რომ თქვას, ასეთი ვერც იქნებოდა, ვინაიდან ეტეკეტის გაგება ამ ცნებამდე ვერ დაიფიყნება. მას უფრო ვრცელი არეალი აქვს.

„შევეცადეთ, „გზავნილი“ მიგვეწოდებინა საშუალო და უფროს კლასულთათვის, ისეთი რამ, სადაც ამა თუ იმ დონით ახალგაზრდებისთვის გათვალისწინებულ მომენტებზეც იქნებოდა საუბარი... მკვეთრ, მაკარად მჭუადამირიგებულურ, მენტორულ მანერაზე არ გაგვიკეთებია აქცენტი, თუმცა, უნდა ითქვას, შეძლებისდაგვარად, ნიგნის ყოველ მონაკვეთში დაკვირვებული ახალგაზრდა მკითხველი (და არა მხოლოდ იგი!) თავის თავის საგულგებელი რასმე აუცილებლად მოიძიებს“, — წერს ოლეგ გოლიაძე. უნდა ვენდობი. რატომ? იმიტომ, რომ „გზავნილი“ ზუსტად არის მერეული.

ეს იმ ნიგნთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც რეცენზენტები ადვილად უძებნიან ხოლმე სახასიათო ეპითეტს.

საჭირო ნიგნი! — ეს ჩვენი ვერსიაა. ჯერი მკითხველებზეა.





მე, ბიძინა რევაზის ძე ჩხვიძე, დავიბადე 1951 წელს თბილისში. დინასტიით ხელფლავანი. ბაბუაჩემი, მამაჩემის მამა დავით ჩხვიძე ფსევდონიმით დია ჩინალი, გახლდათ მწერალი. 1967 წელს მამაჩემის რეზო ჩხვიძის ფილმში „ლიბლის ბიჭები“ ვითამაშე „პეტიოვანას“ როლი.

1969 წ. დაემთავრე სკოლა და ჩავაბარე თავტრალურ ინსტიტუტში. ლილი იოსელიანის სახელობის. 1973 წ.ავტავრძეულ სწავლა სერგეი ვერსინოვის სახელობის უკუე მოსკოვში ВГКИ-ში კინო-სარეჟისოროზე. 1980 წ. „ქართულ ფილმში“. საკუთარი სცენარიო, რეჟისური და როლით გადაღებული მამეს შემდეგი ფილმები: „ბენჯინის ჩაჩხხმელი“, „მეშუქურე“, „არჩავეულებრივი რაციო“, „ზამანებები ადლებუმს შორის“, „ვრანტური“.

1983 წელს ვითამაშე ფილმში „მატიკარში ვილაჲ იჯაჲ“ (რეჟისორო გ. შველაძე). 2000 წელს საკუთარი ხარჯით გამოუვიც ავტობიოგრაფიული რომანი „არტინის ფრივოლური თავგადასავალი“. ხოლო 2007 წელს კი — თხზულება „კაცი კედლის იქით მიმომავალი“.

ბიძინა ჩხვიძე

მამაკაცის გული

ნაბოკოვის რომანი „ლოლიტა“ კერანზე ვიხილე. მინდა გითხროთ, რომ მე საოცრად ემოციური მავურებელი ვარ. ლამე იყო, ცოტა უინფლავდა კიდეც. ფილმში ნანახი ათასფურად მიტრიალებდა. მანქანით შინ ბებრუნდებოდი. გასაოცრია, რამდეინადაც ვიცი, გარეულ ცხოველებში შეწყვილების შემთხვევაში ერთგულებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს თვისება შინაურ ცხოველებში საერთოდ არ შეინიშნება. თითქმის ასევეა ადამიანებში. თუქცა არა. არიან ისეთი ადამიანებუც, მავალივითა, ფილმში ლოლიტაზე შეყვარებული მამაკაცისთვის ერთგულების სურვილი ისეთი შმაფარა, რომ ქუქას კარგავს.

გაზულუქებში ერთგულება საერთოდ უშინარდება. კი მავრამ, სად ჩანს ფილმში, ლოლიტა რომ გაზულუქებული იყო? მან ზომ ფეხებზე დაიკიდა შეყვარებული, როდესაც თავის ტოლს დაუკავშირა ბედი. ბავშვობაში ის შუფერებელი ვნებებით იყო სავსე. ეს მისი ბავშვური გაზულუქება, ცელქობა გახლდათ.

თავისთავად ძალიან საინტერესოა ბატონი ზიგმუნდის, ჩემი ძმის და მეგობრის აზრი. ის ასე მსჯელობს: ადამიანის ყველა ქმედება განპირობებულია ერთი სურვილით — ეს არის სექსი, ანასევე უკავშირდება მისი წარმატება საზოგადოებაში. ვთქვით, ეს ორი რამე — სექსი და საზოგადოებაში წარმატება — ერთმანეთს არ ემთხვევა.მე შინატრეფებს, როდის იბადება სიყვარული და ერთგულება? როდესაც ემთხვევა? არა.პასუხი მეტად მარტივია.

ყველაზე რღვთის ნებით ხდება.

უშარი, წინასწარ დავეცილი სიყვარული არ არსებობს. ყოველთვის ჩნდება იმის განცდა, თვით მტრეებშიეთ მიოლულუნე წყვილიძე კი, რომ სადაც ნაღბა ჩადებული. სიყვარული მოვა და ნაკ. ეს ზომ მარტო ზღაპრებში ხდება, იჟორინებენ და ყველაფერი ბედნიერად სრულდება. სინამდვილეში კი რა ხდება ამის შედეგად? ესაა საკითხავი.

ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ, თუ უშუკისინ დაუფრებთ, სიყვარულით ასაკობრივი ბარიერი არ არსებობს. მავრამ ამ ფილმში მაინც კარგად ჩანს, რომ თურმე არსებობს.გამოდის, რომ რაც უფრო მეტია შხამი და უკუნეთი, მით მეტია სანთლის მარადიული შუქიც. სექსს მე-

უცნობლობის ნაღმის შიში ამბაფრებს. სნორედ მე არის ამ ფილმშიც.

ეტყობა, ფიქრებში ზედმეტად გავერთემოხდა ისე, რომ მოსახვეუში მანქანა მომიცურდა. ისე გამოვიდა, რომ ბედისწერამ ხელი ამქინა, ნკიპურტი მოთავაზა. როგორც ჩანს, ბედისწერისათვის ეს ერთი ჩვეულპირივი ხუმრობა იყო. გამოგიტყვებით ერთსაც, ეს ნკიპურტი მსუბუქი იყო, როგორც ბუმბული, მაგრამ მძიმე, როგორც ლოდის ქვა.



აი, ამბავი თავად ამბისა, რასაც უხლა ვიამბობთ:

\*\*\*

აკი ვთხარით, მოსახვეუში მანქანა მომიცურდა, გზის საბირისპიროდ დადედა, თან ვილაჲ თუ ვილაქის წრდელი ხვეში მოსროლა. არნახულად შემეშინდა. მანქანიდან დაფეთებული ჩამოხტი. ხვეში გადასროლილი ჩრდილი ხანდაზმული კლბბატონი აღმოჩნდა. ჩემი მისამართით ენაწყლიანად იკურთხებოდა, რაც გულზე შარბათად მედებოდა, „ესე იგი გადარჩა“. მაგრამ ეს უკრ კიდეე არ ნიშნავდა, რომ სამართალდამცველებთან პრობლემები არ შემექმნიბოდა, თუკი ის არ დაიზარებდა. ხევიდან დაზარალებული კლბბატონი ხელში ატატებული ამოვიყვანე, მანქანაში ჩავსვი. ძალზე შვიფრასად ეცვა. შევეპირდი, რომ ნებისმიერ ადგილას ნაიყვანდი და ნებისმიერ სურვილს შევესრულედი ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ცოტად დანყნარდა, ნაკლებად იკურთხებოდა. გაირკვა, მას სახლკარი არ გაჩნდა. არც ვინმე უკავდა, რომ მისთან ნაშეყვანა. სამაგიეროდ, განთქმული ლუდოეკოს სახელწოდების ავეჯი ჰქონდა მიზარებელი, ჯერაც გაუსხსნლი.

უცბე ვიგრემნი, რომ გეზიამქმს მახსენებდა. ბინა ვიქირავეთ. მის საბოლოო გამოჯანმრთელებამდე ბინის ქრან მე უნდა მეხბადა. ლუდოეკოს დასახლებული ავეჯი გადმოუხტანე და გაუსხსნელი ყუთებითვე განვათავსეთ.

დრო გადიოდა, ხშირად ვაკითხებოდი. ხელში ატატებული დამყავდა მისი ფეხების დაბეცილობის გამო. იმეზირდა, რამე პრობლემები არ შემეშინდა.

კსიერზე პატარა ბალეოთი მეკროდა, მსუბუქი იყო, როგორც ბუმბული. ამ დროს კი გული რალაც სხვანაირად მიცემდა.



ყოფილიყვე ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ჩვენ საოცრად გავსომოდ ერმანეთის. რასაც გავიფიქრებდი, მან უკვე იცოდა, მეტიც, ზოგჯერ ისიც იცოდა, რაც მე ჯერ ვაცნობიერებდი არ მქონდა. პა არის დასამალი და ერთ საიდუმლოსაც გეტყვით. ჩემი არმეგდარი ცხოვრების თუ კარიერის მიზეზად გულის რომელიღაც კუნჭულში სწორად ამას მივიჩნევდი, რომ რაც კი მიზივხვრია ამ დღეინაზე, ერთი ადამიანიც კი ვერ მოეძებნე.

არ ვიცოდი მხოლოდ ერთი, ეს ჩემი აზრები მისთვის რამდენად იყო საკრალიდი. ორი თვის თავზე, როდესაც ამას სულაც არ ვგელოდი, ჩვენს შორის ერთი ჩემთვის ნარმოუდგენელი რამ მოხდა. ეს ხანდაზმული ქალი, რომელიც ბებიაჩემს მახსენებდა, გოიას შიშველი მხასასეთი ნახევრად შიშველი დამხვდა დივანზე გულმა ბავარუტი დამიწყო. შიშველი ამონვერილი პატარა მკერდით მართლაც რომ ამოთვლიდა. ხანდაზმული ქალბატონი და ასეთი ხელთახლებული?... იქნებ ილუზია იყო? ვთქვით, ფოტოშია... მაგრამ არა... რეალობა იყო. ჯერ ტანზე შემოიხიბი ყველაფერი, მერე კი შენელებულე კადრის ეფექტით დივანზე მის გვერდით აღმოუჩნდი. მაგრამ რად გინდა? სულ მალე ყოველივე ერთ ადგილზე გაიყინა. განუღებ ნინააღმდეგობამ გამოვლა.

ხელისცეცქერით დაეფიცინე, რომ ამ შუა ზამთარში ბიკინები უნდა ცშობდა. ამ დღის...

— მოდი ჩემთან... გულში მაგრად ჩამიკარი — იძახდა. გრძობიერად შეკვება არც თუ ოლი იყო, მაგრამ, ამჯერად მალა მოვიკრიბე და ჩაეცას შეუდევი. რა არ ხდება ამ ქვეყანაზე? გამეცინა. ისიც გავაცნობიერე, რომ ის ათასნაირი პრაქტიკის ხმაოდა და მთელი მისი ცხოვრება შესაძლოა ერთადერთ ამ შემთხვევისთვის მზადება იყო, მაგრამ ახლა კი თავს იცავდა. ისევ და ისევ თავის იმიჯის შესაქმნელად. რა ურთიერთსანაზნააღმდეგო ქცევა ახასიათებთ ის აცავდასულ ქალებს.

— შენ ჩემთან შედარებით, შეიძლება ითქვას, ჯერ არც ვიცხოვრია. დაუნერული ფურცელი ხარ. ჩემს ტანზეც მაშინ გავიხიბ, როდესაც უნდა აუცილებლობას დავინახავ. — თქვა მან.

— რა ტანგას? — გაიკვირა. ქალის ქვედა საცვლის ასეთ სახელს ცივილიზაციის განვითარების არცერთი ისტორიული ხანა არ მკარნახობდა. ცხადია, ეს ცივილიზაციის უახლესი გამოჩენა იყო. შემდეგ ნამოგდა და ხალაით ისეთი სინარაფით მოხიბა, ოღუ ხიზონისტაცო შემურდებოდა. ამიტომაც ცივილიზაციის უახლესი გამოჩენისთვის ისეთი შეულება ვერ შევძელი. ის უკვე მხაზის ქვეშ იდგა. შემდეგ სველ თმებს იმპარალებდა. უცებ ვიგრძენი, რომ ეს ბებერი ქალი მიყვარდა. აღარ ვიცოდი, რა მქნა. ქუდას ხელი ჩაავალ და თავზე ჩამოვიფხავდი, რაც შეიძლება საფუძელთანად, თითქმის სირაქლემი ვიკაყო. შემდეგ ისევ მივიხიბე და ისევ ჩამოვიფხვი. ცხადია, ისიც მშვენიერად მიხედა ჩემს თავზე მოულოდნელად დატყბილ განსაცდელს.

— ისაუბრე, ბოლომდე გამოითქვი შენი სათქმელი და ნყენაც ჩემმაი უკარ დაგარქება.

მეც გასაოცარი სისწრაფით ავლექლავდი.

— მანქანის ნაყვანის დროს ერთდროულად რომ დააჭირო ფეხი მუხრუჭსაც და გახსნაც, რა მოხდება? «ცეკლეონის» დისკო დაინებდა. ან კიდევ, თუ გახსნის, იყო ასეთი ტერმინი „უმრთილესი შემოსავალი“, ამაში შედიოდნენ ის

„მანებებელი“, ვინც შემოსავალს ღებულობდნენ, მაგრამ არ მუშაობდნენ. კომუნისტები ასეთ მანებლებს ციხეში სვამდნენ. ზუსტად ასევე მომეტეცი შენ. ადნენე გკოცნე. გკოცნე, შენ კი ერთი ადგილზე გამაშეზე, თაბაშირ — მუყაი ხომ არ ვიკაყო?

— შო, კარგი, სხვა თემებზე ხომ არსებობს, ამაზე რომ არ ვისაუბრო? — მან კვლავ განაგრძო საუბართა თავის მონესრიგება, ახლა ტუჩები დანრუბა და ნითელი პიმაბლით მის გათხუზნას შეუდგა, თითქოსდა სადმე აპირებდა ნასვლას. მეც შევეყონდნი... რატომ ემზადებოდა ახლა ის ასე გულდასმით? გარეთ ყინავდა. სადმე ნასვლის დრო არ იყო. ქუდი მოიხიბადე, მუშტში მოვიტყიცი და უკვე ფილოსოფიურ თემებზეც ავლაპარაკე:

— არსებობს ასეთი თეორია, თითქოსდა ყველა სხვის იდეები პაერში უკვლია. ყველა მათგანს უფლისგან აქვს მიიჩიებული სახელი და კოდი. მარტო მათი მოწყვეტა საჭირო და ის შენი იქნება. ჩვენ ყველანი, ვინც კი ვარსებობთ ამ ცოდედ მინაზე, ვუჭიბებით და ენყვეთ ამ უცნაურ იდეებს ციდან. მხოლოდ ჩვენი დახმარებით ხდება ის ცნობილი. საკმარისია ამ პიროვნებამ, ცნობილმა თუ უცნობმა, დაკარგოს ეს იდეა და ვერც ახალი ვერ შეიძინოს, მაშინვე ნყვეტს ფიზიკურ არსებობას. მაგრამ იდეა კვლავც რჩება პაერში ჩამოკიდებული და ელის ახალ მოამაგეს. შეყვარებულებსაც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი სიყვარულის იდეა ამთლიანებთ. ამიტომაც ამ იდეას შემდეგად სჭირდება დამტკიცება. — ამ საქმეში კიდევ ერთი აუცილებელი პირობაც უნდა იყოს დაცული: იდეას აქვს თეხა და ანტი-თეხა, ესე იგი — დასანყიდა და დასარსული, უარყოფითი და დადებითი. თუ ეს სიყვარულის დასანყისია, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ხომ შეიძლება, ყოველივე ეს დასასარული იყოს თვით სიყვარულის იდეა, ანუ კოლფისი. შენ გაქვს სიყვარული, მაგრამ ეს შესაძლოა დასასარული.

— გასაცდელი, თქვენ ღრმად განსწავლული პიროვნება ბრძანდებით.

— დახბ, რა თქმა უნდა... ეს მართალია. — შევიფერე მე და ამით გავყიდე ჩემი თავი კიტრის ფსადა.

— მაგრამ აჯობებს ამ თემაზე აღარ ვისაუბროთ — თქვა ჩემმა სადგეოფლომ.

— რაზე ვისაუბროთ? — დავიტყვივდი.

— ვადამტკიცებელი, ხომ არ არის თქვენს აზრებზე? ვანა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების განვლილი ან გაუყუდელი გზა ექვედებარება იდეას, მითუმეტეს, იდეოლოგიას, ხომ არიან აპოტრიკურებიც? — მომიგო ქალბატონმა და სიგარეტი გააბოლა.

— ესეც იდეოლოგიაა, თუ ასე ვიფიქრებთ. ადამიანი ხომ თავის არსში პოლიტიკური არსებაა.

— ამას, თუ არ ცვდები, არისტოტელე აღნიშნავდა. — თქვა ჩემმა დედოფალმა და სიგარეტი მოქაზა, რითაც ჩემი გული საოცრად გაახარა.

— მე თქვენ უხლა ჩემი ცხოვრების ისტორიას ვიამბობთ. სიანტრეკსიაა, რას დასაქმევებით თქვენი პოლიტიკური — ფლოსოფიური ხედვიდან გამომდინარე, თეხას თუ ანტი-თეხას.

მისი განკლავი გზის მოსმენა და ყმანივქალბატონი მისი ნარმოდგენა მართლაც რომ ძალზედ მიზიდავდა. ნეტავი როგორი იყო ის ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ? რა თქმა უნდა ეს ფუჭი საქმე იყო, მაგრამ მე მსიამოვნებდა.



ამიტომაც ჩვენ ვაუცხონობიერებლად ხმელ სკამსა და მაგიდაზე შემოსხედით, რბილ ტანტზე კარგა ხნით უარი გამოივაცხადეთ.

— ჩემმა შეყვარებულმა თავი მოიკლა. — პირველი, რაც მიხიბა ეს იყო, — თანაც, ჩვენი ქორწილის წინა დღეს ვენები გადაიხსნა.

მე არანაირი ვაკვირება არ გამომიხატავს, ის კი განგრძობდა:

— საავადმყოფოში მისი უკუფუნის სისხლი არ აღმოჩინდათ, არადა, თურმე, მისი გადაარჩენა შესაძლებელი იყო. ამის შემდეგ საავადმყოფოში მომსახურე პერსონალის მიმართ გამოძიებები და სასამართლოები ჩატარდა. ასე დაეკარგე ჩემი პირველი და ბოლო შეყვარებულიც. რა ჰქვია ახლა ამას, თუკა თუ ანტითეზა? ჩვენ მხოლოდ გვიყვარდა ერთმანეთი.

— რა ხნის იყავი?  
— მე თურამეტი წლია, ის კი ოცდაერთის.  
— რატომ გადაიხსნა ვენები?  
— ჩვეს უკრისნერას სასტიკად ენიხალმდებებოდა დედამისი. წინა დღეს კი გაუმტლავნა ამის მიზეზიც. თურმე მამამისს მამამეში ჰყავდა 37 წელიში მიხვტილი.

— გასაგებია. ე.ი. ამით მან მამის დანაშაული თვითონ იტვირთა. მამამისის სიკვდილს კი თავად შეენაცვლა. ეს რა ბოძი ყოფილა? იდეური. ერთი ისიც მითხარი, მერე აღარ გათხოვდიხარ?

— ვაბთოვდი, საუბედუროდ, ზუსტად ერთი წლის შემდეგ. ჩემი შეყვარებულის ხელისმომკიდეს ვაგვეცი ცოლად.

— ეს რა ჩავიდენია? გამოდის, რომ მისმა ყველაზე ძვირფასმა მეგობარმა და შენ, მისმა სატრომომ, მისი სიყვარულის იდეა ფეხით გათლიეთ.

(ცოლ-ქრობა ხელისმომკიდესთან დიდხანს არ ვაგრძელებულა, ის იქვე დასრულდა. დაეცოლდით სექსობრივი შეუთავსებლობის გამო. მისგან აღარაფერი მიხდოდა, მაგრამ ღმერთმა ასე ინება, ბოძი შემეძინა. ახლა ის დიდი კაცია. ლოს-ანჯელესში ცხოვრობს, მაგრამ არღვრავს და ვერ ჩამოვლის. შეც არ მიშეუბნე მასთან. როცა პატარა იყო, მამამისმა რუსი ქალი შეირთო და სამი შვილი გაუჩნდათ.)

ოცი წლის შემდეგ ხელმეორედ შემომთავაზა ქორწინება.

შემდეგ მან ხელწაბრა გახსნა. იქიდან ფოტოსურათი ამოიღო. ფოტოზე მალალი, შავგვრემანი, ახალგაზრდა კაცი იყო გამოსახული. მის უკან თავად იდგა, ყმანვილობაში, თეთრი კაბით, ზღვის პირას, კოჭებამდე წყალში. მოშორებით, პალმასთან, თეთრი ნათელი ნერტლივით ვიღაც კაცი იჯდა. მან თითი დაადო თეთრ ნერტლს.

— სწორედ ისაა, ჩემი შეყვარებული.

— რომელი? — ვითხებ.

— პირველი და უკანასკნელი. ეს მალალი, შავგვრემანი, ახალგაზრდა კაცი კი ხელისმომკიდებია, ეს არის ის უბედური. ჩემი ბოძის მამა, ყოფილი მუუღლე და საქმრო, რომელიც უარით გავისტუმრე.

— რატომ უბედური? — ვერ მიხვდი.

— იმიტომ, რომ მანაც თავი მოიკლა, უკვე მეორე მამაკაცმა.

— ვერაფერს ვერ მიხვდი. მან რატომღა მოიკლა თავი?

— ვუყვარდი. მთელი ეს ხანი ვუყვარდი. ოცი წლის შემდეგ ხელმეორედ შემომთავაზა ცოლობა, ჩემგან კი უარი მიიღო.

— მერე რატომ თქვი უარი? ამეყვარა და ეს შეიძლებოდა, მითუშეტეს, საერთო ბავშვი გყავდათ. რატომ თქვი უარი? თუ მართლაც უყვარდი?

— საქმე ისაა, რომ მასთან სექსი ჩემი ტანჯვა იყო. სექსის გარეშე კი ოჯახი რალა ოჯახია.

— რატომ იყო ტანჯვა, ვერ ვხვდები?

— მან ხელით მანძინა სიგრძე.

— ხო, მართლაც ძალიან გრძელი ჰქონია იმ უბედურს...

— შექანიკურად ნაშობდა შეც.

— ამიტომაც უარი განვუცხადე...

— მას შემდეგ როგორღა ცხოვრობდი, თუ მართლაც გეგონა, რომ შენს გამო მოიკლა თავი?

— გითხრა მძიართლე? მე მარტო დროსტარებაზე ვფიქრობდი. შენ ის დროსტარება არ გეგონოს, რასაც ამ სიტყვაში გულისხმობენ. პირიქით. ჩაკეტულ ცხოვრებას ვამჯობინებდი. გული არავისთვის გადამიძლია, როგორც შენ მოახერხებ. იმის თქმა მინდა, რომ ბევრს ვტუტურქვანობდი, მხოლოდ და მხოლოდ სხვისი თვალის დასაბამებლად. ახარტულ თამაშებს ვთამაშობდი, წითელ კაბას და წითელ ჩექმებს ვიცვამდი, თანაც ისეთს, ახლა რომ იტყვიან, ჭიპამდეო. კაცებს ვახვებდი, შემდეგ კი ვავადებდი.

— სად ავადებდი?

— რასმის გარეთ.

— თან თამაშობდი?

— ყველაფერს, ძირითადად ბანქოს. აქ მთავარი იყო ფსონები. ჩემი ბონაც ამ საქმეს შეეწირა. გინება და დადიქეცი, დეკარილებულ გულს ამით ვიქარებდი. აი, ხომ ხედავ, ახლა შენ ყველაფერი იცი ჩემს შესახებ.

— ჩემგან რას ელი? — ვითხებ მე.

— რასაც ქალი უნდა ეთოვდეს კაცისგან. ჩემთან ხელს მოაწერ?

— მოვანერ. ამაზე უარი არც არავისთვის მიტეკამს, ოღონდ ჩემს სახლში ვერ ნავიყვან. იქ ცოლია და ბავშვები. სანამდე იხივებებს კაცი ნაქარავებში? თანაც უმუშევარი.

— რატომ? შენი პრობეტი, პონორარები, გამოვონებები?.. ხომ თქვი, მეცნიერი ვარი?

— ჯერჯერობათ სულ ერთი წიწნა მაქვს დანერული, ისიც ჩვენს პლანეტაზე შემოქრილი უცხო ციური სხეულების შესახებ.

— იცე კიდევ რა მინდა გითხრა? — თქვა ქალმა.

— რა? — ვვითხებ მე.

— მინდა, რომ პატებს მცემდე... მარტო სიყვარული არაფერი.

— ყველაფერს გპირდები, რასაც ინატრებ — ოღონდ ისე აღარ მომეცე, როგორც დღეს მომეცეცი.

— ვიცე, რასაც მთხობ, ოღონდ ჯერ საქმით უნდა დამიმტკიცო.

— ახლა, ზვალ და თუგინდ ზეც, ხელს ვერ მოვანერთ, ხომ იცი, ეს ჯერ ცოლთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

— ვიცე, მშვენიერად ვიცი.

— ჯერ შემომოვიცე, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა, რომ იყოს.

— ვფიცავ.

— თქვი, რომ გიყვარვარ!



— მე მაგნი, ეს ისედაც კარგად იცი და მშვენივრად ხედები და ხედავ ამას.

— არა, ძალიან ვთხოვ, თქე.მე მინდა, შენგან გავიგონო ეს!

— რამდენჯერაც ისურვებ, იმდენჯერ ვიტყვი, მაგრამ?

— რა მაგრამ? — თქევი მე.

— ისეც მაგრამ. თუ ხედე, რა უაზროდ იმეორებ მაგ სიტყვას. რა მაგრამ, რა გინდა ამით თქვა?... თანაც ახლა, როცა ჩემი სიყვარულის აღიარებას, ვგლოდი.

— ვთქვა?

— ჰო, თქევი. რა მაგრამ?

— ვხედე, რომ მე მესამე ვარ. ესე იგი — თუ ჩვენ შორის მოხდა ის...

— რა ის? თქევი გარკვევით. არაფერი მესმის.

— რაზეც ვსაუბრობთ... — ვთქევი მე.

— თქევი გარკვევით, მე არ ვიცი, რაზე ვსაუბრობდით, — თქევა ქალმა

— თუ შენმა პატარა ფუთამ, როგორც თვითონ უწოდებ, ჩემი პატარა ასო დალოცა და აკურთხა. მაშინ შენთვის მესამე მამაკაცი გამოვალ და მე ჩემითვე უნდა ვეძებო მოკვდივების საშუალება. — მიგაყავარ სხასასხუთი.

— გინდა, რომ გამაგიგო? — თქევა ქალმა.

— ნათქვამია, ღმერთი სამოხით არისო. რა ექნა, ეს მე ხომ არ მითქვამს, ასე არის.

უცებ თავზე დაშვერდა უწმინური ლოცვა — კურთხევა. ჩვენი ორივე მივიდით ერთ დასკვნამდე, რომ ორივესათვის აუცილებელი იყო რაღაც განტვირთვა, ამისთვის კი, რა თქმა უნდა, ყველაზე ეფექტური იქნებოდა რესტორნებში სესტრინობა. მაგრამ ყოველველ ამას „ფარა“ დასჭირდებოდა, რაც მე დაუძლეველ პრობლემად მიჩნაჩნდა.

მოლოდინედად გაირკვა, რომ მისთვის ეს სულაც არ იყო პრობლემა. მწიფი უგზავნიდა თურმე უცხოეთიდან და სავსებით ყოფნიდა. მეც გაეხალისდი. სადემოფლო ხელში ატატებული დამყავდა თბილისის საუკეთესო რესტორნებში. მალე ორივე ისე დაგმომხმდით, რომ ეს ცოტა ძნელ საქმედ მომეკურნა. მიუხედავად ამისა, ისტობარს არ ვიტყვებ და ამითაც ვხალისობდით. იგი მეგობარ გოგონებსაც პატრონობდა ჩემს სანახავად. მისი გოგონები სულაც არ იყვნენ მასავით „ბაბუშკები“, პირიქით, ჩემი ხნის ქალბატონები იყვნენ. სამი იყვნენ, მაგრამ არცერთს არ გამოეყოფო, რადგან ყოველ მათგანში რაღაც საცანგაშოს ვხედავდი. ეს იყო მათი ჩაჯარბნილი, უსიკეთებლო მწერა. ჯერ ვიფიქრე, მხედველობა დაზიანდა-მეთი, მაგრამ გაირკვა, რომ შესწინაშევი მხედველობა ჰქონდათ.

ცვაკვა-თამბიძე კარგად გამოსდობდა. ნამდვილი ჭინკები იყვნენ. კარგადაც სვამდნენ და უტვრავდნენ. რამი იყო საქმე, ვერ გამეგო. მალე გაირკვა, რომ ისინი გულმოკლული დედები ყოფილან.

ნახევრად მალვით, შეფარებით მე და ჩემი სადედოფლო ისეც და ისეც ტკბილად ვეუფერებოდით ერთმანეთს. ბატონი ზიგმუნდი არ ცუდებოდა, როდესაც სესქში ინდივიდის პურსონალურ ნარმატებაზე საუბრობდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მე განა ნარმატებას ვუტვინებ? რა იყო ეს? ვეკითხებოდი სასუთარ თავს. ჩემგან ეს იყო განყენებული ფილოსოფიური ქვის ძეხნის სურვილი. დაიხაც, „ჩემი დამო-

ვალი“ ჩემთვის ფილოსოფიური ქვა იყო. ფილოსოფოსის ტოტზე ვიყავი შემომჯდარი და კვლავ ავლალავდი.

— რა აღუღაბებს, რა აკავშირებს ბებრეს — ყმაწილებთან, მაგალს — ვუჯვასთან, არისტოკრატს — მდამბოხთან, სწეულს — ჯანსაღთან, ფილოსოფოსს — მასხარასთან, ენაწილისა — მუხუთან. ამავე კონტექსტში მდიდარს — ღარიბთან ვერ შევადგავებ. აქ მათი კავშირი ანგარებით იქნება ახსნილი. მაგრამ დანარჩენ შემთხვევაში, აბა, მიიხაროთ, რომ აიხსნება ამდენ არასწორ ქორწინებათა რაოდენობა.

მოვიშველით ფილოსოფოსები. ბუნების ძალა ურთიერთდაპირისპირებაშია. სწორედ ამას ეწოდება დამპირისპირებულთა ერთიანობის კანონი დიალექტიკურმატერიალიზმში, რომელიც ქმნის პარმოზისა.

არადა, ეს კანონი იდეალიზმის მამის, ჰეგელის სიტყვები ყოფილა. სწორედ მისივე სიტყვებია: თუხა და ანტითუხა. ქალი ამბობს ერთს, მამაკაცი მეორეს. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის არსებითი. მე ამას დავარკვევდი წვილებების ფილოსოფიას, როგორც წყლის ერთი ნვეთი, რომელსაც მეორე წვეთსაც თუ მივუმატებთ, ის ისევე ერთ ნვეთად იქნება. რატომ? განა არსებობს ამის ახსნა? იქნებ იმიტომ, რომ წყლის ერთი ნვეთი მოიცავს მიწელ სამყაროს, სიცოცხლის პრინციპს. ეს უკვე სიყვარულია, რომელიც ამთლიანებს ნარსულსა და მომავალს, სიცოცხლეს ხდის მარადიულს. აქ სიკვდილს გარდაცვალება ჰქვია, წყალს კი უკვდავებს, მაგრამ განა წყლის ერთი ნვეთი თუხაზე არსებობს ანტითუხაც, ის მაშინ იმკიდრებს თავს, როდესაც პარმოზის კლავენ. მთი მედვას შესაბამე წყალბადის ბომბი, რომლითაც ააფეთქებ მთელ სამყაროს. აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნაც: უყვართ იმიტომ, რომ უყვართ. სძულთ იმიტომ, რომ სძულთ. საიდნაც დაეინაც, იქ მივიდით.

ჭინკები ჩემზე, როგორც დევეკანზე, ჭყასა კარგადნენ. მეც ცეკვისაგან მაგრად ვხალისობდი, აღმოჩენიებული ოფლად ვიღვრებოდი. მის მამინ, როდესაც ისინი, მავლუჩაქაინი დედები, ბუნჯობაში სიმძრალეს ინარჩუნებდნენ და ერთ ნვეთ ოფლსაც არ ღვრდნენ. ისეთი შეგძრძნება ჰქონდა, თითქოს თავზე ახლაც ჩემი „სადედოფლო“ მეჯდა და ნაცარქეჭიას მსავასად ჭყინტებს პირდაპირ ჩემს თავზე წურავდა. მიუხედავად ამისა, მე მაინც ბედნიერი ვიყავი.

\*\*\*

ჩემმა მეგობრებმა, ამავედ უკვე ვაჭბატონებმა, ჩემისას დაიწყეს სიარული. ვინც ორი ნვეთ არ მენახა, ისინიც კი გამოჩნდნენ. ნასვლასაც აღარ აპირებდნენ. რა იზიდავდა მათ?... ეს ზღაპარი არაორდინარული წყვილების შესახებ თუ რაღაც სხვა, გაცილებით უფრო პირადული?... არ ვიცი...

ჩემი „სადედოფლო“ ბტმის ხის მსავასად აყვავებულიყო და ყველა მამაკაცს მისკენ იზიდავდა. ვგრძობდი, მის ასაკში ასეთი აყვავება საფინალო იყო, ანუ გედვის სიმღერის მსგავსი. დღისით, მზისით, რაღაც დიდის და მშობენლოვანის მოლოდინში მისი თვალები ისე კვსავდნენ, როგორც კატის თვალები სიზნელში.

ამკარად ვხედავდით, ახლა ყველას საითთაოდ ენადა ბტმის აყვავებულ ტოტების მძვტვრევა. რა თქმა უნდა,



სათავისოდ. ჩემმა მეგობრებმა ამჯერად ლორის ლორი და შავი ლეონი შეგვარტყეს. საკუთარი სახლებიდან ჭურჭეხადე კი არ დაეინცნიათ. ერთს აუხუტი კიდევ და განუეცხადე: თუ ძალიან გადაციცილებით უფურბე ჩემს „საადელოფლოს“, მეს არ აცილებ, რამაშ მეთუი საქმე? საწყალი ისე შემოხდა, სულ ბოღმღებს მიხიდა. ჩემი „საადელოფლო“ კი მეცხრე ცაზე აღმოჩნდა, რადგან სამაქარაოზე გამოვიტანე ის, რასაც არ ვამფლავებდი. ახლა ყველამ იცოდა, რომ მე ამ ქალბატონით ვიყავი გულანთებული და თურმე არამარტო მე.

ლობოიკ მოხიზარმა წერილად ჩაჭრილ ლორის წვენი. თხელი, შეზრანული ქაედები, პრასი, ბოლოკი, ნინმატი და შავი ლეონი. ყველაფერი იმის მაუწყებელი იყო, რომ სადღეგრძელა და ტკბილი რეალობა არ მოგაკადებებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ამის მეშინოდა. მაკადას შემოვივლიდით.

— თუ არ ჩაიდენ ცოფვას, უარესია, რადგან სამოთხის-ეცნ მთავალი გზა ძალიან მარტყვია. თუ დაიბნად, აჯრობებს, რომ იქვე მოკვდე, რადგანაც პირდაპირ სამოთხეთი მოხედები.

— რატომ მერებლომ? — შემიკითხა პირველი მეგობარი. ჩემსას მაინც არ ვიბლიდი და განავტრობდი.

— ქრისტეს ერთხელ მოწადებმა შკოთხის, რა ბედი გველიო? ქრისტეს გაუცილია და უთქვამს: მოხავლას რატომ კითხვლობთ? განა არ აჯობებს ჯერ თქვენი წარსული იკითხოთ, შემოქმედმა რატომ გაგაჩინათ? — გეფიციბით, ბიბლია ბეერი ვიკითხე, მაგრამ ადამიანის დაბნეულების შესახებ ვერაფერი შემიტყვებ. ასე, რომ თავად უნდა ვეცხებოთ კურჩანი — ვითქმე და თავი თავმარყვებელი ქათამივით დაბლა დავხარე. ჭიკები ღვინით შევავსე.

ვაითო ადევრ სმასა და ღვინა ჩემი „საადელოფლოსათვის“ გონება დაეკარგეინებდა და მეტი რაღა ვიქებებოდი. მაგრამ ეს ყველაფერი ასე არ მოხდა, ყველაფერი მოხდა ისე, როგორც უნდა მოხდარიყო. სრული ნესრეგის და სიმტკბილეობის დაცვით.

ჩემი მეგობარი მანდილოსნებიც გამოჩნდნენ. ჩემი არსებობა ცოლც მოგორდა. ვერავინ ვერაფერის მიხედა, რას გამოეწვია ასეთი თავყრილობა. უფრო მართალი რომ იყო, ვიტყვი, ყველა ყველაფერის მიხედა, მაგრამ აბა რა მიერე, ისხდნენ... ისხდნენ... ისხდნენ... არას, ეს მართებელი ფორმა ზმინსა არ შეეფერება რეალობას. ამიტომაც ვიტყვი მახიზურადა: ივდნენ, ივდნენ და ნაცივდნენ. ჩვენ მარტონი დავირობი, დავეციეთ, როგორც იქნა, მაგრამ რად გინდა, ზღუები და ოკანებით ისევ დუმდნენ. მოძისაგან ვკანკალდები. ამას კიდევ დავმატა ჩემი მოულოდნელი დამგზავრება. საქართველოში ითითა-ორთლა უფლოოვი გუკავს. მათ შორის მეც მივდევი ამ საქმიანობას. სამცხე-ჯავახეთში გავემგზავრე, რადგანაც შევტყვე, რომ იქ ნამოხლა ორი მრგვალი, პატარა ციცირის კვერცხის მსგავსი შავი ქვა, რომელთაც ერთად ვთუ დაამყვლებდით, თუთრი მხე ებდა, თუ დააცილებდით, ფერს იცვლიდა, მუქდებოდა. აშკარად ანომალური მოვლენა იყო. ამას ისე დამანიტრტვას, რომ „დედოფალი“ კი მივატოვე ჩემი მეგობრების ხელში და გავემგზავრე საქართველოში ერთმა-ორმა დღემ საბოლოოდ მთელი კვირა დაიჭირა. ყოველდღე: ორჯერ, ხუთჯერ, შეიძლება ითქვას მეტჯერაც უარეკავდი. როგორც კი ჩამოვედი, მამინე ჩემს „საადელოფლოს-

თან“ გამოცხადი. ის ისევ ჩემი მეგობრების გარემოცვაში დამხედა. თითქოს არც არსად ნავსულსიყვი, მაგრამ ამჯერად თან ახლდა ვილც ბავშვი, ბიჭუნა, რომელიც მეზობლისაგან თავიფეყვანა. ჩემი „საადელოფლო“ ამ ბავშვს რატომღაც ნათიდან არ იცილებოდა, დღე და ღამე თავისთან ჰყავდა. ალბათ იმიტომ, რომ მასზე რამე ისეთი არ შეიფერა, რაც არ შეიძლებოდა. ჩემს სულში მისი ხალხი განგამი. ყველგან თავდაცვა და საძაგელი შოშობისთვის გადადგმული წინასწარი ნაბიჯები. ჩემს მიერ ნანახ სასწაულებზე ქვას, ლუდოვიკოს სახელგანთქმულ ავეჯს, ყველაფერს თითქოს ჰქონდა რაღაც ერთიანი კოდი. ჩემი „საადელოფლო“ ჩემზე ოცი წელი უფროსი იყო. არც მე ვიყავი ყმაბეღილკაცი ასაკში. ნაბეჭდი საუკუნე მრებრებე მედო. „საადელოფლო“ რუსულ „ბატალინი“ სიმღერებს ნახოდა დაგუდული ხრინინი ხმით, „ალბათ ნავდომიკ არის და მიხალავს“. იმას ვერ ხედებოდა, რომ მე მის ნებისმიერ უმცავსობას მოუყებნინდი გამართლებას. ნამგზავრი ვიყავი და ამ საბაშური სიმღერის ფონზე ჩამეძინა. უცნაური სიზმარი მესხმარა.

სიზმარშიმატკარი ვიყავი, ბოდიარტის სვირინგების ოსტატი. ქალების ამბორულულ ადგალებზე დღე და ღამე თავაჭინდრული ვმროზობდი-ლომებს, კაცოქსია ვამპირუნებხატავდი, თანაც უცოლო ყმანელი ვიყავი და ერთი უცნაური სურვილი მახრჩობდა. მჭეოვა მათ შორის ის, რომელიც ჩემთვის ერთადერთი იქნებოდა. რა უცნაური სურვილი იყო ეს, როდესაც უკვე მყავდა მრავალი, მაგრამ მისი ის ერთადერთი მენატრებოდა. რა უცნაურია სიზმარში კაცის გული. ვინ გაგიგებს, ვინ გაგიხვს, თუ არა სივე ქალი, ღმერთის უტყვინო ქმნილება, რომლისთვისაც ღია ქვეცნობიერების ყველა კარიბეჟი. ისინი ვითომ ჩავს სვავს, იხიდან თუ იცვამენ, თმებზე იხევეთ თუ ილიანი, იქუდრენიან თუ იღებებიან საშყარი მანრც მათით სუნდამულობს. აბა ჩვენ, მამაკაცებს, რა გვესმის მათი, რაღა ნადეალი გავხედებოდათ.

აი, შეხედეთ... — ერთი ჩემს წინ მოხერხებულად ეწვობა და მამაკაცისთვის ყველაზე სანუკეარ ადგილს ურცხვად იმიშვლებს, რა თქმა უნდა, სვირინგისათვის, ჩემი შემოქმედებისათვის. მომწონს მისი სითამაჟე. გადასატანი ნახატის არჩევანზე. ქალიშვილს მახებლგონიერება აქურდა არ აკლია. ბოლოს, როგორც ხებდა ზოლმე, ისე დავახლოვდით, რომ დავეკორნინდით. მაგრამ იქვე მიხედვი, რომ ის არ იყო, ვისზედაც ვოცნებობდი. იმასაც მიუხედი, რომ სწორედ ასეთი ქორწინებგბია ჩვეულღებრივი მოვლენა. იმასაც ადვილად მიხედვი, რომ ნებისმიერ ინდივიდს სხვა რაღა რჩება, თუ არა შევეგუოს თავის ბედს. მეც შევეუდვი შევეუბნის პროცესს, მაგრამ ერთხელაც ჩემს სახელსიზონში შემოვიდა სწორედ ის, ის ერთადერთი, და მე, როგორც იტყვიან, ზურგის ტვინით მიხედვი, რომ ის იყო. დავემუნხედი, ავკანკალდი, ხმა სადალაც ჩამოვიარდა. ამასობაში ქალბატონი გამიშვლდა და მთხოვა მისი ფურის გარშემო ჩემი საფორმო ნახატა — ვამპირის ხახა — გამომესახა. მუშაობას შევეცადე, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოეითმინე და ერთი გვარიანად შევძახე — ვერიკა!... ის დაფრთხა და ნამოხტა. ბოდიში მოუხვადე. ორივეც ცივი წყალი დავლიე. მუშაობას რომ მივყრი, თავი ვეღარ მოეთოკე და სიკვარულშიც გამოუტყციდი. ვუთხარი, რომ ის სწორედ ისაა, ვისზედაც ვოცნებობდი. გაიღიმა, მეორე მხარეს უდარდე-





ლად გაადრეუნდა და ახლა თავისი ტაკუნები დამითმო ჩემი შემოქმედებისათვის.

რედესაც შემობაზის მოვრჩი, როგორც დიდა შემოქმედმა, მეც უბეგრამად ნაჲანერე — „შენ ერთადერთი ხარ ჩემთვის“... ქალა ნაჲიდა, სად ნაჲიდა, არ ვიცი. ის უბრალოდ ჩემი სასიხლოსონად გავიდა და აღარც შემობრუნებულა.

შეიძლება ითქვას, სუღარა გადაეფარა ყველაფერს. მე მას ველოდი. მან თან ნაილო ჩემი ყველა ოცნება. გადიოდა დღეები, წლები, მე კი ისევ არ ვღალატობდი ჩემს იმედს, ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ისევ შეეფედეოდი. თავს არა ვზოგავდი. ჩიტებს, ვარდებს, მერცხლის ბუდეებს და რა თქმა უნდა ვამპირის დაფრენილ ხაზას ვხატავდი. უსიცოცხლო, სევდიანი იყო მთელი ჩემი ცხოვრება. მე კი ყოველთვის მენატრებოდა ის ერთი, ვისაც ვუძღვენი ის დიდებული ჩემი ეპიგრამა. რა ენა, მე მას ვბედავდი. იგი ჩემს წინ იდგა და ნიხობდა, მე კი ნაბიჯსაც ვერ ვდგამდი. ლამევიც თერთად მიბრუნენ. სამაგიეროდ, დღისით, მზისით, ჩემს მოზღბერტზე, ანუ ქალის საშორე შეძინებოდა დაბრილს. ბევრს ჩემთვის ნიხლიც უთავაზებია, აქაოდა, აბებერო გაიღვიეთო!, სწორედ ამ სიტყვებით..



სუკაროს კოლექციიდან

ერთხელაც სიხმარში ვხედავ, ვილაც მადვიძებს, სწორედ ასეთივე წესით.. ვხედავ მას, მის ვეებერთელა უკანალს და ამ უკანალზე ჩემს უპეგრამას.

„შენ ერთადერთი ხარ ჩემთვის... სიბერე რომ მოვიკაკუნენს, რა ვუყო მე მაგ შენს ტაკუნებს.“ მივხვდი, რომ სწორედ ეს ფარად თუ სუღარა უკვე აღარ არსებობდა ჩემს წინ. მაგრამ ისიც იქვე გაავაცნობიერე, რომ ის ის აღარ იყო. უბრალოდ აღარ მიყვარდა, მძულდა მიელი მათი ჯილაგი. ყველაზე ერთამოკრებე დიდი წურბელები არიან. მამრების სისხლის ხარჯზე სივდეობან. ახალი სისხლი უყვართ. ყველა დანაშაული, სათავე მათშია, ჩემთან კი მათ ანი აღარაფერი უსაქმებათ. სისხლს ვეღარ ამომწოვენ. ახლა კი იფუთფუთონ, რამდენიც ნებათ. ამიერიდან მე სწრულიად სტერილური ვარ მათ მიმართ. მე უსქესო არსება ვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმპოტენტი. ციგმა ოფლმა დამასხა. საშინელი სირცხვილის გრძნობამ გამომალეძია.

\*\*\*

ისევ რესტორანში ვიჯექი უსულო და უსახელო არსებებთან. რიტული მუსიკის ფონზე ისინი, თვით ჩემი „საადედოფლოც“ რიტმულად აქნეადნენ თავს აქეთ-იქით. ტვინით რომ უქონოდათ თავები დააქნტილი, ამ ქნევა-ქნევაში ხომ ძირშივე დაძვრებოდათ.

გავიფიქრე და კიდევ მომეწონა ეს ჩემი სარკაზმი. მათი მხრდან პასუხმაც არ დააყოვნა. თითქოს ისმენდნენ ჩემს ფიქრებს.

— მართალია, ცარიელია ჩემი თავები, რადგანაც საფიქრებელი და საზრუნავი არც არაფერი შეგვრჩა. ჩვენ ხომ ყველას, შენი „საადედოფლოს“ გარდა, ერთი ობერაცია გვაქვს გაკეთებული.

— რისი ობერაცია? — ვერაფერს ვხვდები...  
— ჩვენ ყველას საშვილოსნოები გვაქვს ამოღებული და ეს საერთაშორისო პროგრამით მოხდა.

— განა შესაძლებელია ასეთი უშინატიარული პროგრამის არსებობა? — ვკითხე მე.

— რატომაც არა. — გამომეხმაურა ჩემი „საადედოფლო“ — ჩემმა საშვილოსნომ ნაილო მთელი ჩემი ყმანვილქალობა. არადა, საბჭოთა რეჟიმში ვის ექნებოდა ორი თავი, რომ უანსალი ორგანო, ბრმა ნანლაიგით ამოკვეთა. სხვა მხარეს თუ გაიხედავდი მამონ..

— მამონ ბოზი იქნებოდი. — იქვე გამოვტაცე სიტყვა და ამით ჩემს „საადედოფლოს“ მისი ძვირფასი ფრეოდული სიტყვის წარმოთქმის სურვილი.

— არადა, როგორ მინდოდა. ახლაც ხომ მინდა. თუმცა ამას რა...

ლა აზრი აქვს. ახლა ხომ შენ მიყვარხარ. — თქვა და ბავებში მომახევა. მეც გადავიხარე მისკენ და ამპორთან ერთად შიგადაშიგ ზუმრობებიც მივატეხე.

— საინტერესოა, საკუთარი თავის ძირშივე მოკვეთის სურვილი თუ გაუჩნდა ვინმეს, თუ გამოინახება ამის შესტყვისი უშინატიარული პროგრამაც, ექნებათ თუ არა ამისათვის შესაბამისი ტარიფი.

— არა მგონია, ასეთი სურვილი ვინმეს დაებადოს. ყველა თავისი ზედა კოლოვი უპირფასეს მონაპოვრად მიანჩნია. — იყო პასუხიც, ვფიქრობ, ღირსეულიც.

— კარგი, — ვთქვი მე, — მამონ მითხოვნი, გლოგობო, გულის ამოჭრა ხომ არ აჯობებდა? და მის სანაცვლოდ მექანიკური ძრავის ჩადგმა. სიყვარული, როგორც მშმენია, მანდილოსნებს ბევრ თავის ტკივნის უქმნის.

— არც ამის საჭიროებაა — საშვილოსნოს გარეშე გულო, სწორედაც რომ მექანიკური მოტორია. როდესაც ისურვებ, იმ დღეს ამუშავდება. ასეთი რეჟიმით ჩვენ, შავლენაქიანი დედები უსასრულოდ დიდხანს ვიცხოვრებთ. შეიძლება ითქვას, უკედავები ვართ.

— ეს რა კარგა რამე ყოფილა. ჩვენ, მამაკაცებმა, რაღა ამოვიჭრა? — ვკითხე, იმის იმედით, რომ ეს საერთო სიცლი-კისკის გამოიწვევდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

— შენ რა გიჭირს საამისო.



ფარულად ჩემს „სადედოფლოს“ გადავებდე. მგონა, ცრემლად დაიდურებოდა და შავი ტუმბი ნიაღვარი წაღეკავდა. ამჯერად შევეცი. პირიქით, კოპები შეიკრა და ჩვეულ ლოცვა-კურთხევას შეუდგა გაჩენის შესახებ, ჩვენი ბედოვლიანი მოავრობის შესახებ, კაცთა ჟილასია და მოდგმის შესახებ.

კარგად ვიცოდი, ასეთ კაზმულ ლოცვა-კურთხევას არაფერი კარგი არ მოაქვს. ნათქვამია, ჯოხს ბოლო აქვსო. ჯოხი თუ ნედლია, ადვილად აქცევ ერთ წრედ. მერე კი იყავი ჩაკეტულ წრეში მოქცეული. ჩაკეტული წრის შუაგულში არსებობს შავი ხვრელი. ყველაზე პატარა შავ ხვრელშიც ერთი შავი კაცი ზის. ის გამპირია.

- რა გამპირი? — გაუკვირდათ გოგონებს.
- ეშაკუნა... გნებავთ, ასე უწოდებო, თქვენი საქემა.
- მომხდურს გააჩნია, ვინ იქნება... — მითხრა ხრინინიანი ხმით ჩემმა სადედოფლომ.
- უკავრავად, ის ვერჯის ვერ იტანს. — უუბასუხე მე.
- რატომ გგონია? ის ხომ ტირის მარტოობაში.
- საკუთარი თავის კოლაფს ატირებს. ჩვენ ყველანი ჩაკეტულ წრეში ვიმყოფებით. თუ ვინმე განცხრობაში წახს, გამპირი განსაკუთრებით მხეცდება, ადგლად ზედაც-ლეულს, შეჭამს მომხდურს.

იესო არის. გზა. ტარიგია, „ჩამთუ შეწინებს დიკულა“. მწყეტლი, რომელიც კლავს ღმრს, რომელიც საკმელოს ეტებს. უძინარი გუშავია, რომელიც მტაცებელ მგლებს აფრთხობს. ქვა, რომელიც „ლად საკილურ იქმნა. მარჯვლტა, რომლის მოგებისათვის ყოველი საფხავი უნდა ნარევათი, მართლი, რომელიც საზრდის შვაზა-ეებს და გაბრწინისაგან იხსნის. ყვავილია, იესუს ძირისაგან აღმოცენებული. ანგლოზია, რომელიც მამიდან ხარებას გვაძენობს. კაცია, რომელიც სრულ კაცებს მეომისაგან, თიფინერ ცოდვისა, ღმრთის სიტყვა, რომლის მიერ ყოველი „მეუქმნა, რადენი რა იქმნა“. ნათელი ქვემარტია, „რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალს სოფლად“. ქვეყანა, რომელიც ნაყოფს გაიხსცემს. მარჯვლი მოციქვისა, რომელიც ქვესტელთ გაიფხამს ფესვებს, რათა აღმოცენდეს ძელი ვეჯარისა, რომლის რტობზე ჩვენს ხსნას დაეყრდნობთ. იაქვეს მახარია, რომელიც შეუხარავს, როგორც მეფესალმუნე ამბობს, თავის ვემაისათა. მზე სიმართლისა, რომლის სიციხეს ვერავინ დაეფარება.

## სულიერება, ნაცხოვრები დობა

ზოგიერთებს არ მოსწონთ სიტყვა „სულიერება“. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მნიშვნელობას მივანიჭებთ მას. სიტყვა „სულიერება“ იმ მნიშვნელობით მესმის, რა მნიშვნელობითაც გაიხარებს მას ტლული არქიტექტიკაოსი კარდინალი, ყოფი ყირო სა-ლიევი (1870-1956), როდესაც ამბობს, რომ სულიერება ნაცხოვრები დობაა. საბანისძეს ციტირებულ ფრაზაში გახმობაზე ღრმა ქრისტიანობის, რომლის მიხედვითაც მონაშე ამო თავის მინაგან ცხოვრებას წარმართავს უშაღ-ლეს მონაშემად, ანუ ნაშემამდე, სულიერება, იტყოდა

იოზიტი ირენე ოშერი, რომელმაც გულმოდგინედ შეისწავლა ქრისტიანული აღმოსავლეთი, არ განავალკვებს დოგმას ასკეტიკისა და მისტიკისაგან. სულიერება, განაგ-რძობს ი. ოშერი, წმინდა კონკრეტულად ვალიართ სუ-ლის უპირველესობა. კარლ რანერიც ამტკიცებს სულის უპირველესობას, როდესაც წერს, რომ „ხვალისწინელი დღის ქრისტიანი ან მისტიკოსი იქნება, ან არ იქნება ქრისტიანი“. ამიტომ არის აქტუალური იოანე საბანისძის თხზულება. ასეთივეა შურღაიას წიგნიც, რომელიც წარმოგიჩენს, თუ როგორ აღწერს საბანისძე აბოს სულიერებასა და ნაშემას.

აბოს თანადროული ჰაგიოგრაფი, მისი მარტვილობის თვითმხილველი, გვიხატავს წმინდანის ცხოვრების გზას. ქართლის მინა-წყალს, ანუ საქართველოს აქვს ქრისტიანული რწმენა და წმინდანთა დედა: „რომელთაზე თუთ [...] მკვდრნი“, სხვები კი აბოსავით „უცხონი და ხცუი მოსრულნი“ არიან, მაგრამ ყველანი ხეებთან წმინდანი იესო ქრისტეს წყალობით, რომელსაც შეჰფურის დიდება. აბო შვილია აბრამეანთა, რომლებიც სარკინოზები ანუ ისნაე-ლიტები არიან. „ყულადვე“ არიან, „მამულად და დეულად“ მისი მშობლები და და-ძმანი „ბოდლად ბაბილონი-სასა“ ქრისტიანობის... დასაფსებელ ხელშეწყობას ფლობს: „ქუთლად“ იცის „სულენითა მათ საცხებელთა“ შეზაე-ბა. აბრამიეთი ტულებს აბო თავის მინა-წყალს და ერეს ერისთავარს ქართლის ქვეყანაში მიჰყვება. სწავლობს ქართულ მწიგნობრობას, თავისუფლად ფლობს მას. წმინდა ნერლის სწავლასაც იწყებს, „სტულისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას“. ამ დროს გადამწყებს, გახდეს ქრისტიანი. მაგრამ აშკარად ვერ ამფლავებს აბოს, რადგანაც სარკინოზები „მფო-ბელნი ამის ფამისანი“ არიან. მაშინ ერესე მიდის „სადგურ-სა და საბანაკესა ქეთა მაგოგისათა“, ანუ ხაზარს, იმ იდუშალი ხალხისა, რომელიც ებრაელთა სჯულზე მოი-ცვა. ხაზართა ხაკანი მას სტკომებით იღებს. მაშინ აბო ნათლებს იღებს მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით. შემდეგ აფხაზეთში გადადის. ერესე სთხოვს აბოს, არ ნავიღეს აფ-ხაზეთიდან ქართლში, სადაც სარკინოზები ბატონობენ.

## აბოს მარტვილობა

აბო საღვთო შურით არის შეყვრობილი. „რამ მადლ არს ყოფა ჩემი აქა, სადა არა არს შიმი, არცა სიკვდილი ქრისტესთანა?“, - კითხვობას მონაშე. - „[...] აბოინ ავან-თის საწიელი და შედგის იგი ქუქვი ჯემირას, არამედ ზედა სასანთელსა გადგიან, რათათა მნათობდეს ყოველთა [...]“. [...] არა შემიწის მე სიკვდილისაგან, რამეთუ მე სახუფე-ველსა ვეძიებ ქრისტესგან“.

საბანისძეს მოგვითხრობს აბოს შეყვრობასა და ტყვე-ობას. სტყუანს ქართლის ერისთავრის შუამდგომლობით გათავისუფლების შემდეგ აბო უარს ამბობს დამალვაზე, ან-და გაქცევაზე. მას ხელახლა შეიკვრობენ და საყვრობეში ამყოფებენ ათი დღის განმავლობაში. იორდანში იესო ქრისტეს ნათლისღების დღეს, ექვს იანვარს, აბო ამბობს: „[...] დღესსაწიელსა ამას მოვად მდინარესა მას იორდანი-სასა განმშობლებული ნათლის-ღებად [...]“. ჯერ-არს ჩემდაცა



დღესა და მათა, რაძთა განვიძარქო შიში ჴორცთა ამათ ჩემთაჲს [...]. ანათე-ვილო სისხლთა ჩემთაჲს და ცცქელთა და სუ-  
ლოთა [...]. ხელ-ფეხ შეკრული მკაჲთო იგი ტფილისის მუ-  
სლიმანი ამირის ნინაჲჲ. ის კი მას დაკითხებაჲ უწყებთა: „რამ  
არს, შაჲყო, რამ განჩინებუე თავისა შენისაჲ?“, ახო კი უპო-  
სუხებთა: „მე განწიხრებუე და ქრისტიანე ვარ“. „რამ ეგოდენი  
სიტკობობაჲ გაქუს ქრისტიანს შენისაგან [...]“, – ვითხება  
ამირა, ახო კი მიუვებთა: „უკუეთუე გნებავს ცნობად სიტკობო-  
ნებაჲ მისი, შენცა ვრწმენინ ქრისტიან და ნათე-ილე მისა მი-  
მართ და მაშინლა ღორს იქმნე ცნობად სიტკობობას მისა-  
საჲ. ამირას ჯავრი მოერევა და მისი თავის მოკვეთას ბრძა-  
ნებთა. ახო ისხამს ხელეხს „ჯუარის სახედ ზედა ზურგსა  
თესსა“ და ღალად-ყოფას ქრისტეს მიმართ. სამე ზის სცემედეს  
მხებელს, რათა სიკვდილის შიშით განემორტებინათ მისი გან-  
დგომილნიანებაჲ, მაგრამ იგი შეეხედე მითუალებიდა მახ-  
ვლის, ვიდრე თავი არ მოკვეთეთს.

### განდგომილუბის სსხჯელი

როგორც ნესი, შედარება ვასაღებია, რომელიც გან-  
გვიმარტავს ერთმანეთის მსგავსი მოვლენების არს. გ.  
მურლიაჲმ ეს იცის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი მივიტო-  
ვებთ პარალელურ ქრისტეს მიმდევარი სპარსული გვირო-  
ბის წინაშე და ამის ნამების შორის. გვირობაჲც VI საუ-  
კუნეში ანამეს არა მუსლიმანებება, რადგანაც ისლამამდელ  
ეპოქაში ცხოვრობდა, არამედ – სასანელმა ზოროსტრე-  
ლემბა, რომელმაც იგი განდგომილად მიიჩნია. მარტობ-  
დენ ისლამი არ სჯის სიკვდილით განდგომილებს. პირი-  
ქით, ყურანში განდგომილება არ არის შექანიკურად და-  
კავშირებული სიკვდილით დასჯასთან. მუსლიმანი აბდუ-  
ლაჲმ აშშ-ზე ან-ნაჲში ნამრომში „არელიგიური თავისუფ-  
ლება ისლამის თვალთახედვიც: კლასიკური პოზიცია გან-  
დგომილობის შესახებ და თანამედროვე დებატები“ აღი-  
არებს, რომ ყურანი მკაცრად კიცხავს ისლამისაგან  
განდგომილებს, მაგრამ უარყოფს იმას, თითქოს იგი მათ  
აუცილებლად სიკვდილი სჯიდეს. მართლაც, განდგომი-  
ლებს სიკვდილით სჯის არა ყურანი, არამედ – სუნა და  
ტრადიციო. ამას გარდა, ისლამში განდგომილება არ არის  
თვალათივლე განსაზღვრული. აბდულაჲმ აშშ-ზე ან-ნაჲში  
ამ კონტექსტში მოჰყავს მუსლიმან მოსამართლეოთა ორი  
სენტენცია, რომლებიც ერთმანეთის საწინააღმდეგო  
თვალთახედვი განსაზღვრავს განდგომილებს. ავტორი,  
ასევე, ახსენებს სუდანელი მუსლიმანის, ტაჰას, პარა-  
დოქსს, რომელიც ისწრაფვოდა, რიგორისტულად მოქცე-  
ოდა განდგომილებს, მაგრამ თავად დაიხსავს სიკვდილით  
განდგომილების დანაშაულისათვის. გ. მურლიაჲ შესავალ-  
ში იხსენებს მარვან იბნ მუჰამადის დროს, 736-738 წლებში  
ნამებულ ნინიდანებს, დავითსა და კონსტანტინეს, ასევე,  
853-858 წლებში ნამებულ კონსტანტ კასას და აბდულ-კასიმ  
შის დროს, 914 წელს, ნამებულ გომროსს. საქართველოში  
ისლამის ნამრომობისთანავე გამოსცადა, თუ რას ნიშნავ-  
და, ყოფილყო ძიმი, ანუ მუსლიმანთა ქვეშევრდომი ქვე-  
ყნა. საუკუნეების განმავლობაში საქართველო მოქცეუ-  
ლი იყო გრდელდა და ურის შორის: ორ მუსლიმანურ სა-  
ხელმთიფოს, ოსმალეთსა და ირანს შორის, რომლებიც ერ-  
თმანეთს ებრძოდნენ. საქართველო ახილდა ჯიზიას, ანუ

ქვეშევრდომთა გადასახადს, არაერთხელ კი ყველაზე უფ-  
რო ძიმი, სისხლის გადასახადიც გადაუხდია: დევმირის  
სახით, ანუ როდესაც იანისარების რაზმებში იძულებით  
რიცხვადნენ ქრისტიან ქაბულებს; ან მაშინ, როდესაც  
ქრისტიანებმა საკუთარი სოციალური მდგომარეობის  
შესანარჩუნებლად გამოუხიზნებნას სიკვდილი არჩეს,  
ანდა მაშინაც, როდესაც ზოგიერთი ქართველი მუსლიმანი  
გაქრისტიანების შემდეგ სიკვდილით დაისაჯა ისლამ-  
ისაგან განდგომის გამო. შესაძლებელი იყო, ახო ტფილე-  
ლი შეგვედარებინას, ასევე, იმ ზოგიერთ მუსლიმანურ  
ნარმომობის ქრისტიანთანაც, რომლებიც სხვა ქვეყნებში  
სიკვდილით დასაჯეს. ახო ყურა 815-820 წლებში ნამებო-  
სადმი მიძღვნილი თავისი ტრაქტატის XVI თავში, მოუთ-  
თებს პარუნ აღ-რამიდის (786-809) ბიძასილას, ანტონ  
რავაჲსზე, მარტვილობაზე, რომელიც თვით ხალიფამ და-  
საჯა სიკვდილით 799 წელს, რადგანაც მან არ ისურვა ის-  
ლამის წიაღში დაბრუნება. ბეიურთის წინინდა ოსების სა-  
ხელობის უნივერსიტეტის აღმოსავლური მიზლითაჲსის  
ზენე არაბული ხელნაწერი (XVII ს.), რომელიც შეიცავს ან-  
ტონ რავაჲსის თვადგადავალს, ახლახან თარგმნის იტალიუ-  
რად მდიდარი კომენტარებით ემზადულა ბრადამ და ქიარა  
პელისკატი. შესაძლებელი იყო, ოინვე საბინისის თხზულე-  
ბა შეგვედარებინა ამ ხელნაწერში დაეცულ მარტვილობას-  
თან, ანდა, ამ ხელნაწერზე კიდევ უფრო ძველ, X საუკუნის  
შინ. ფ. 513 ხელნაწერთან, რომელიც იგანს დიქსი გამოსცა.  
შეიძლება, შეგვედარებინა, აგრეთვე, პრიტანეთის მუ-  
ზეუმის X-XI საუკუნეების 5019 აღმოსავლურ ხელნაწერ-  
თან, რომლებიც ამის ნამების ანალიტიკურ ამბავს მოკვი-  
ნობს, როგორც ამას გვაკვნიხს ბარიონმუსი პირონე  
ფრანკესკო ვატონისადმი მიძღვნილ საუკულები კრებულ-  
ში. აღსანიშნავია, რომ „ახო ტფილეთის ნამების“ შექცე-  
ლით თხოუმტ კოდექს შორის, რომელითაც გ. მურლიაჲ ახსენ-  
ლებს, ზოგიერთი IX-X საუკუნეებისა. ამდენად, ამის შესა-  
ხებ არსებელი ხელნაწერი ტრადიცია უფრო ახლსაა აღ-  
ნერულ დებტებთან, ვიდრე ანალიტიკური ტრადიცია – ან-  
ტონ რავაჲსის ეპოქასთან. ამას გარდა, ორი აბაზიტი ქალის  
მიერ შესწავლილი ეურისა ახლის ვერ მოვა „ახო ტფილე-  
ლის ნამების“ ბიბლიურ-საღვთისმეტყველო და სულიერ  
სიმდიდრესა და, ამავე დროს, მის უბრალოებასთან. ამის  
გაქრისტიანებისათან სელი არა ეძეს ე. წ. „ახალურ სასნა-  
ულს“. ანტონ რავაჲმი კი სასწაულების გამო მოიქცევა: ხატს  
ისარი სტყორცნა და ხატს სისხლი გადმოუვიდა, ეკლესიაში  
შიარების დროს ხატს და დანახა, რომ შორწმუნეებს  
კრავის სისხლიანი ხორცის ნაწილებს ურიგებდნენ მაშინ,  
როდესაც კრებულის თავზე მტრად ფრენდა.

### ქართული სულიარეობის მოდელი

დაბოლოს ჩვენი მოსაზრებების დასასრულს, ხაზგასმით  
აღვნიშნეთ, რომ მონონებთ ეხედებით რა გავა მურლიაჲს  
ნამრომში, გვინდა, გავნაქარეთ ნიგნის სათაურის მოჩვენე-  
ბით ნინააღმდეგობა: კანა, შეიძლება, ახო ტფილეთის ნა-  
მება? ქართული სულიერ კულტურასთან გვაგვიკვირო?  
ამის საპასუხოდ, უპირველეს ყოვლისა, იმას ვიტყვოდი,  
რომ გავა მურლიაჲს ნიგნი იწყება საინტერესო შესავალით





ქართული სულიერი კულტურისა და მისადმი მიძღვნილი ნაშრომების შესახებ. მკვლევარი ამტკიცებს, რომ ქრისტიანობა ქართული თეოლოგიისა და სულიერების დედამიწაა, იგი ამ სულიერების გამოიხატველ ერთ-ერთ ნაწარმოებზე შეიქმნა, რათა სიღრმისეულად განეხილა იგი, იმის ნაცვლად, რომ ამ სულიერების გამოხატვლა ნაწარმოებთა მხოლოდ სათაურები ჩამოეთვალა, ანდა მათგან ნაქართვეად ამორიდებული ციტატების ანთოლოგია შეედგინა. ვთვლი, რომ წინამდებარე ნაშრომი გვანრმუნებს გ. შურლიას მასწავლებლის, ლევან მენაბდის სიტყვების სისწორები, რომლის სსოვნასაც ეძღვნება ეს წიგნი. ლ. მენაბდე წერს: „ნათლად ჩანს ავტორის განსწავლულობა და წერის მაღალი კულტურა, ყურადღება იძყრობს პერსონაზე რეალისტური სახეები და მძაფრი დრამატული სიტუაციები, შთამბეჭდავია ფსიქოლოგიურად დატვირთული დიალოგები და მონამის სუიერი ვეულოვია, ერთნაირ - ერთობ მაღალ დონეზეა პოლიფონიური თხზულების ყველა ნაკვეთი - პაგიოგრაფიული, პინიფიკაციული, ეპიგრაფიკური, პოზიტივტიკური. ყოველივე ეს ითან საბანისის სრულიად გამოჩყულ ადგილს უმკვიდრებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში“.

მაგრამ მეც მინდა, შედარებებით ვიხარებოდი. თუ ვინმე მკითხავს, როგორ უნდა დაიწყოს ბიზანტიური სულიერი კულტურის გაცნობა, ვერჩევე, ნაყოთობს წინდა იოანე კლიმასის „საათნობება კბრ“. ასევე, ვინმე აზრი რომ მკითხოს, ქართული სულიერების როგორ გავცნოთ, აუცილებლად ვერჩევე, ყურადღებით ნაიკითხოს გავა შურლიას წიგნი. სხვათა შორის, იმის გამოც, რომ ქართული სულიერების საბაზე იგი ნარმოვინებს პიროვნებს, რომელიც საქართველოში არ დაბეჭდილდა და ეს წინაინა სხვათა კულტურის მიმართ გახსნილობისა, რომელიც პირადად მეც დიდი სიამოვნებით შევნიშე ქართველებში და რომელსაც თვალნათლივ ადასტურებს კათალიკოს კირონის ზემოთ მთლიანად ციტირებული პარათა რომის პაპ ბენედიქტე XV-ისადმი. წინმდები ქალი - წინდა ნინო, რომელსაც „მოქციქულთასწორს“ უწოდებენ და რომელმაც საქართველოში ქრისტიანობა გაავრცელა, უცხოელია. აღბანი, ამ კულტურულ გახსნილობას ხელს უწყობს თვით საქართველოს ეთნიკური სიზღიდრე და მრავალფეროვნება. მასსთვის საქართველოს ეთნოგრაფიული მუხუმი, რომელიც დია ცის ქვეშ ნარმოვინებს სხვადასხვა სახის სახლთა მთელ ნყენებას, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონისათვისა და მასსახიბებელი. ეს არის ნათელი მაგალითი იმ თანდაყოლილი ეკუმენიზმისა, რომელმაც განაცვიფრა იტალიელი მისიონერები: პიეტრო დელა ვალე (რომელმაც მამონიდე პაპს აღფრთოვანებით აღსჯავს იმფორმაცია გავუზავნა საქართველოს შესახებ), თეათინელი მამები, სამეგრელოს აღმწერი არქიეპისკოპო ლამბერტი, საქართველოს შესახებ ცნობების ავტორი, პიეტრო ავიტაბილე, ქრისტიანობე კასტელი (რომელმაც მთელი თავისი ხელოვნებით აღწერა და დაბატა საქართველო და ქართველები) და სხვანი. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო მეტე სიბარულით გეგვები გ. შურლიას ნაშრომს, რომელმაც „პოტიფილური ნამებას“ შესაბამისი მეცნიერული, ისტორიული და ფილოლოგიური კონტექსტები მიუჩინა, მუქენიერი იტალიურით თარგმნა ორიგინალიდან, ვრცელი კომენტარი დაურთო, ზუსტად გადმოიღო ქართული სიტყვე-

ბი და საკუთარი სახელები ჩვენს ანბანზე და დაუთო საიბებელი, რომელიც საშუალებას იძლევა, მიზანმიმართლად გამოვიყენოთ ეს წიგნი. ამ სახით იგი სასენიბთ აკმაყოფილებს სვეცილისტების მოთხოვნებს. ამავე დროს, ნარმოში ნათელი სტელით არის დაწერილი და იგი, შეიძლება, გამოიყენოს მკითხველთა ფართო წრეც, რომელიც დაინტერესებულია საქართველოთი, იმ უმეველს კულტურის სახელმწიფოთი, რომელიც ევროპის მრავალ ქვეყანაზე გაცილებით ადრე გაქრისტიანდა. ამდენად, ჩვენს წინაშეა წიგნი, რომელიც გამოიჩრევა დიდი აკადემიური ღირსებებით; შესანიშნავად ნარმოაჩენს საქართველოს სულიერების, მის ყველაზე დრმა ტრადიციებს და, ამავე დროს, ხელმისაწვდომია მკითხველთა ფართო წრისათვის.

**შენიშვნები:**

1. აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის არქივი. Documento prot. n. 881/1918, rubr. 101. "Lettera di carità" di catholicos georgiano Kyrión et a papa Benedetto XV per annunciargli la sua elezione (25 settembre 1917).

\* შოტანილი კირონი II-ის მიერ რომის პაპის, ბენედიქტე XV-ისადმი გავზენილი წერილის დედნის მიხედვით, რომელიც მისი თანადროული ტრანსკული თარგმანის ფსიქოლოგისთან ერთად დაიბეჭდა წიგნში: Congregazione per le Chiese Orientali, Dall'Oriente al Tevere, Scritti in onore del cardinale Ignace Mousa I Daoud per il cinquantesimo di sacerdotio, Roma, 2004, ტავ. 6. ეს წერილი დღემდე უცნობია ქართველი მეცნიერებისათვის (შთარგ.).

\* წერილის ქართულ დედანში შევდგომითა მიითვებელი მე-14 ფსალმანი, ფრანკულ თარგმანში კი სწორად არის დაფიქსირებული სპეჭუარინტას ნუმერაციის მიხედვით 142-ე ფსალმუნის მე-5 მუხლი (შთარგ.).

\* ხელმოწერა მიწერილია კირონი II-ის ხელით (შთარგ.).

\* როგორც ცნობილია, ამ პერიოდამდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იერუსალიმური საღვთისმსახურებო წესის მიხედვითი წირავდა (შთარგ.).

2. V. Poggi, Antoine Delphus Visitatore Apostolico in Transcaucasia (1919), wgn. Miscellanea Metrevell. Jrm. "Studi sull'Oriente Cristiano" 5:1, Roma 2001, გვ. 93-130.

\* როგორც ცნობილია, ამ წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მიქელ ეპოპლაროუსმა (1043-1058) და რომის პაპის ლევანმა, კარდინალმა უმბერტო სილვა კარდელემმა, რომელიც ბიზანტიის იმპერის დედქალკა ნარმანდილითა წინააღმდეგ კავშირის შესაკრელად იძყფებოდა, ერთმანეთი შეაქმნეს. ეკლესიის დასავლელი ისტორიკოსები ამ ფაქტს ტრადიციულად აქრისტიანული აღმოსავლეთის დიდ სქიზმას უწოდებენ (A. Fliche, V. Martin, J. B. Duroselle, E. Jarry <et al>, Storia della Chiesa dalle origini fino ai giorni nostri, 7, L'epoca feudale, la chiesa del particolarismo (880-1057), Torino 1995, გვ. 187-202), რაც საფუძვლად მოკლებულია, რადგან განხეთქილება კონსტანტინოპოლის პატრიარქისა და პაპის ლევანის გაზავადებული პავტიზმეფეროზობის გამო მოხდა. ეს არ ყოფილა არც პირველი და არც უკანასკნელი შექმნილი ორი ეკლესიის ისტორიაში. ამასთან მას არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა იმის გამო, რომ რომის პაპის ლენ IX (1049-1054) სიკვდილის გამო, კათოლიკური საეკლესიო საზარდოს მიხედვით, თავად ლევანის უფლებამოსილება უქმნებულად ითვლებოდა. სწორედ ამიტომ ამ ფაქტს არავითარი გავლენა არ მოუხდენია აღმოსავლურ, და მათ შორის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაზეც (იხ. გ. შურლიას ნიგნში, გვ. 44-45). მონსნიორი მორინდო იმიტომ მითითებს

1054 წლამდე გარდაცვლილ წმინდანებზე, რომ მათ „განყოფილი ეკლესიის“ პერიოდში იცხოვრეს და საეკლესიო შეიძლება მათი ქართული კათოლიკეთა საეკლესიო კალენდარში შეყვანა, ამ წლის შემდეგ გარდაცვლილი წმინდანები კი, შეიძლება, მხოლოდ საქართველოს, ანდა, საერთოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანები ყოფილიყვნენ (მთარგ.).

3. აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის არქივ, რუმინეთი 106, "Armeni del Caucaso", Protocollo 4775.

4. იხ. ვ. შურგაიას ნიგნში, გვ. 295

5. იქვე, გვ. 231-232.

6. იქვე, გვ. 188-189.

7. იქვე, გვ. 208-215.

8. K. Rahner, Schriften der Theologie, III, Benziger, Einsiedeln 1957, გვ. 60.

9. Shurgaia, დასახ. ნაშრ., გვ. 216-230. ვ. შურგაია სამართლიანად მიუთითებს (გვ. 111-114) ხაზართა შესახებ რუსი ორიენტალისტის, ანატოლი ნოვისტეცკის ნაშრომს: А. П. Новоселов, Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа, М., 1990

10. Shurgaia, დასახ. ნაშრ., გვ. 231-242

11. b d u l l a h i A h m e d a n - N a ' i m, la liberta religioza nella prospettiva islamica. la prospettiva islamica: la posizione giuridica classica sull'apostasia e il dibattito contemporaneo, in R. Mancini «et al.», La liberta religiosa tra tradizione e moderni diritti dell'uomo. Le prospettive delle grandi religioni. Torino, 2002 (Collana del Centro di studi religiosi comparati "Eduardo Agnelli"), გვ. 97-117.

12. ამ წმინდანის დღესასწაულს ქართული შინ-34 ხელნაწერი შემუშევნიანად აფიქსირებს: ამაზ ანტი(ონისი რ(ომელ)სა ერქუ)რა რავა მ(ო)ნ(ა)მ(ი)სადა (Le calendrier palestinogrec-

en du Sinaiticus 34 (X Siecle), Édité, traduit et commenté par G. Garitte, Louvain, 1958 (Subsidia Hagiographica, 30), გვ. 45; საერთოდ, საკითხის შესახებ იხ. იქვე, გვ. 136). არსებობს წმინდანის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი, რომელიც გამოცემულია ი. ყიფიძის მიერ (E. Кипшадзе, Житие и мученичество св. Антония Равана, Jm. "Христианский Восток" 2 (1913), გვ. 54-104 (მთარგ.).

12. Storia di Rawh alqurasi, Un discendente di Maometto che scelse di divenire cristiano, a cura di E. Braida e C. P e l i s e t t i, Torino, 2001 (Patrimonio culturale arabo cristiano, 5).

13. I. Dick, La Passion arabe de s. Antoine Ruwah néomartyr de Damas († 25 déc. 799), in "Le Muséon" 74 (1961), გვ. 109-113.

14. B. Pirone, Un altro martirio sulla vita e sul martirio del nobile araghushita Rawh, wgn. Biblica et semitica, Studi in memoria di F. Vattioni, a cura di L. Cagni, Napoli, 1999 (Istituto Universitario Orientale, Dipartimento di studi asiatici, Series Minor, 59), გვ. 479-509.

15. Shurgaia, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

16. Enzo Gamalero, Il problema della diffusione delle fede cattolica in un inedito di Pietro della Valle sulla Georgia, Jm. "Rivista di storia e letteratura religiosa" 13:2 (1977), გვ. 354-375.

17. ქართულად თარგმნა და ქუჩინაძე, თბ., 1937.

18. ქართულად თარგმნა ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1977.

19. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბრძოლა საქართველოს შესახებ ტექსტი გამოიჭრა, თარგმნა, გამოკლევდა და კომენტარები დაურთო ნ. გიორგაძემ თბ., 1976; P. Licini, Cristoforo Castelli e la sua missione in Georgia, Jm. "Regnum Dei" 41 (1985); B. Maiorana, La Gloria impresa: storia e immagini di un viaggio secentesco, Palermo, 1990.

მარადი ხელშეწყობა

რიტა ბაინდურაშვილი

„ერისიონის“  
სამბაძურსი

სცენარზე გატაცებული  
მითი და რეალუბა

მას ანსამბლ-მუზეუმსაც უწოდებენ. საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია და თანამედროვე მოუს ტექნიკით გაჯერებული დღევანდელი „ერისიონის“ განსაკუთრებულ პოპულარობას ქმნის. 2007 წელს საფრანგეთში გამართული მოუპროგრამა ამ საყოველთაო პოპულარობის საუკეთესო გამოხატულება გახლდათ და „ოქრის დისკით“ აღინიშნა. მაშინ პარიზში მოხდა უპრეცედენტო რამა: თენახევაში ანსამბლის 250000 ცალი დისკი გაიყვანა. ბოლოს კონცერტი კი, რომელიც „ერისიონისა“ ოქრისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართა, ქართული სულის ქვემარტივ ზეიმი გახლდათ. ოთხივე ჩვენ-

მაზე გადქაფილი დარბაზი თვითყოფილი ეროვნული მუხტისა და შესრულების ახლებური მანერის, რიტმის არაჩვეულებრივ სინთეზს მოეცვა. ეს იყო სცენაზე გატაცებული და ხელოთ შესახები ზამრული სამყარო, უახლესი ტექნიკით მიღებული საუცხოო განათებისა და ელვადობის ფონზე... ამ სამყაროს მიღმა ტიტანური შრომა და ბევრი პირობითობა ძვეს, რომელიც მსურველისთვის ხშირად შემუშავებული რჩება. მათზე სასაუბროდ ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ ჯემალ ჭყუაქელს ვესტუმრეთ, თუმცა მანამდე

ცოტა რამ  
„ერისიონის“ ისტორიიდან

ეს ისტორია 1885 წელს დაიწყო, ერთი მაღლიანი ქართული კაცის, ლადო აღნიაშვილის დამსახურებით. იგი პრუფესორი პედაგოგი ვახლდათი და თვითონ არც სიმღერა შეეძლო და არც ცეკვა უხერხებოდა, მაგრამ არაჩვეულებრივად ესმოდა ამ ყველაფერის ფასი. ილია ქავჭავაძემ მასზე „ივერიაში“ წერდა, თავისი პედაგოგიური ნაშრომე ფულს მთლიანად გუნდის ჩამოყალიბებას ახმარსო და ასეც ირქვამა მამინ — ლადო აღნიაშვილის გუნდი.

იგი თბილისში, ჩუღუთურში შექმნილა, თუმცა იმ დროში ვერ მოძებნილა ქართული კაცი, რომელიც ქოროს გაერთინედა და ნარუქლებოდა. ეს მისია თბილისის ობერში მოღვაწე ჩებ მუსიკოსს ნავრატლიოვს უკისრია,



რომელიც მუსიკალურ ქრონიკებში რატლის ფეხდღონი-ნი თი არის ცნობილი. საქართველოსა და ქართულ კულტურაზე შეყვარებული რატლი სამშობლოში აღარც დაბრუნებულა, ოჯახით აქ დარჩენილა და კულის სახალალოზე განსვენებს. აღნიშნულიან ერთად დიდიან მისი ღვაწლი ქართული ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციისა და განვითარების საქმეში. თუმცა უცხო ტომის კაცმა ქართულ სიმღერას უცხოური მძებიც შემატა და ამგვარად მაშინდელი გუნდის რეპერტუარში გაჩნდა ჩხეთის ხმა, პოლონეთის ხმა...

პირველი კონცერტები გუნდმა 1886 წლის 15, 16 და 17 ნოემბერს გამართა, 1889 წელს კი რატლიმა მომღერალთა გუნდს მოცეკვავეებიც შემოუერთა. თავიდან ორი ცეკვა — "ცანგალა და გოგონა" და "ქართული" დაუდგამთ. ასე შეერწყა ორი დიდი ფენომენი ერთმანეთს და შეიქმნა ხალხური სიმღერისა და ცეკვის პირველი ქართული კრებული, რომელმაც მამხინვე გაითქვა სახელი ჩვენშიც და უცხოეთშიც: მე-19 საუკუნის 90-იან წლებშივე სწევნიან რუსეთს, რამდენიმე ქალაქში გაუმართავეთ კონცერტო, პეტერბურგშიც ამირებდნენ ჩასვლას, მაგრამ უფულობის გამო როსტოკას იქით ვეღარ წასულან... უსახსრობა ბევრჯერ გამზადარა გუნდის შემოქმედებითი ცხოვრების დაღმავლობის მიზნე, დროის ქარტიბილუბსაც ბევრჯერ შეუშლია ხელი და ურთიერთობის უთანამოვლასაც — ხან გაიყრებოდნენ და ხანაც ისევ შეერთდებოდნენ, მაგრამ ამგვარი წყვეტლებების მიუხედავად მოღვაწეობა არასოდეს დაუმთავრებიათ. ორი-სამი კაცის ამარაც რომ დარჩენილიყო, გუნდი მაინც გაანგრძობდა არსებობას და ასე მოიტანა თავი ჩვენამდე.

20-საუკუნის 30-იანი წლებიდან მისი შემოქმედებითი ცხოვრება შედარებით გვარდებდა და ხალხური შემოქმედების დიდი სახელმწიფო ანსამბლი ხდებდა, ღვირად მრავალფეროვანი რეპერტუარით. 1990 წელს ანსამბლი აკადემიურის სახელს იხვეჭს, ხოლო 1999 წლიდან "ეროსიონად" იწოდება. ასე იცვობს მას მსოფლიო მოუბის სანაყოფი დღეს. თუმცა ჩვენს სამყაროში იგი კიდევ ერთი უპირატესობა უფაქტით არის ცნობილი: ანსამბლის შესრულებით ჩანერილი "ჩაკრული" წლებში წინ უკიდევანო კოსმოსის სამუდამო ბინადრი გახდა.

**დღევანდელობა**

მოუხედავად ამგვარი სინტერესო არასულისა და მომხიბველი, ნარმატული ანშისის, მაინც ბევრი რამ არის ისეთი, რაც "ეროსიონის" ხელმძღვანელი გულისკვილით საუბრობს. ამბობს, რომ ქართული ფოლკლორ არასოდეს ყოფილა განსაკუთრებული პატივით განხიზღებული, სამწუხარად, ასე გრძელდება დღემდე — ეს უპირველესად ჩვენი, ქართული დაუდგერობის მარალია — რაც გავიქვ, იმას ვერასოდეს ვაფასებთ...

— მაგრამ თქვენ მაინც შესძელით შორს გაგვტანათ ქართული ფოლკლორის სახელი, ჩვენი ეროვნული სული, ხალხური შემოქმედება, თქვენ შესძელით გაგვოცებინათ მთელი მსოფლიო...


— დიახ, მსოფლიოსთვის ქართული ფოლკლორი იმთავითვე ერთგვარი აღმოჩენა გახდა, თუმცა მის პოპულარიზაციას ხელი განსაკუთრებით ანსამბლის რეპერტუარის მოუპროგრამად ჩამოყალიბებამ შეუწყო. ამ ფორმით იგი ბევრად სინტერესო და საყურებელი შეიქნა ყველა ქვეყანაში. მაგრამ იმას, რაც დღეს ჩვენს სტენაზე ხდება მთლად ფოლკლორის ველარც დავაჩქემებთ...

— რას გულისხმობთ?

— ეს გახლავთ ფოლკლორზე დამცნობილი, მისი ფესვებიდან აღმოცენებული თანამედროვე ხალხური ხელოვნება, დიდი მოუ, რიმელიც თავის თავში აერთიანებს ძველსაც, ვინროდ ეროვნულს და თანამედროვესაც, ბევრად გლობალურს, რაც მის უდიდეს ნარმატებას განაპირობებს. "ეროსიონი" არ არის ფოლკლორული ანსამბლი და იცით, რატომ? როდესაც დიდ სცენაზე ადიხარ, რომელსაც ასობით მიკროფონი და უახლესი ტექნიკა, აპარატურა აღუდრებს და ახმოვანებს, ხოლო ასობით ნათურა ვიზუალურ ეფექტებს, ქემარტხ სანახაობას ქმნის, ეს უკვე აღარ არის ფოლკლორი. მე ამას უფრო ძველთან ლამაზად დაბრუნებას, ახლურად დაბრუნებას ვუნოადებ, როგორც კარგად დავინტერესულ ძველთან... ოღონდ ისე, რომ ფესვები არ მოუყრყიოთ, მისი ბუნება შევიწარუნოთ, მისი სანყის... რაც თანავარია, მუდამ პირველწყაროს ერთგულები ვერჩებთ...

— მაშინ სრულიად გასაღები ხდება იმ თანამედროვე სამუალებათა და ელემენტების შემოტანა თქვენს ხელოვნებაში, რის გამოც ზოგჯერ გაკრიტიკებენ ხოლმე, არ, თუნდაც პას-გიტარა...

— რა თქმა უნდა... საქმე ის არის, რომ ჩვენ არ გავვაინა ორგესტრი, უნიმოსიოდაც ასეთი მასშტაბის თანამედროვე ელერადობის მოუს მონყობა შეუძლებელია. არ გაგვაქვინა საამისოდ აუცილებელი დაბალი გემბი და უკმარისობას სწორედ ბას-გიტარა გვიცხებს. ეს არ გახლავთ სოლო გიტარა, რომელსაც მელოდია მიჰყავს, ბასი მხოლოდ დაბალი ელერადობით ამიდრებს მუსიკას და ვერ ვივტებ, რატომ არ უნდა ვამოვიყენოთ? ახლა სხვა მხრიდანაც შევხუდით ამ საკითხს: გარშინი ქართულია? ისიც რაღაც ეტაპზეა შემოსული და დამკვიდრებული ჩვენს ფოლკლორში, მაგრამ დღეს უიმოდ ნარმოუდგენელია ხალხური შემოქმედება, საცეკვაო მუსიკა... ან კიდევ ჩინა... სინამდვილემ მას "ჩერქეზკა" ქვედა და კაცკასიონია, მაგრამ ისე მიორგო ქართველმა კაცმა, რომ მისი ეროვნული სიამავე გახდა. კაცკასიელისგან განსხვავებით ქემარ-ხანჯალს ჩვენ ჩინაზე გარედან ვიკეთებთ, ხოლო



ჯემალ ქუსაინო

კავასიელები შიგნიდან ირტყამენ, ჩოხას კი გარედან მოიცვამენ, მისასახამია... ამგვარი სიახლეები სრულიად ნორმალური და მისაღებია, რადგან ფოლკლორი ცოცხალი ორგანიზმია, ვითარდება, გელაპარკება... მის მოთხოვნებს ყური თუ არ მივუვადეთ და ვაგიოვალისწინეთ, სამუხეუმო ესპონაბტად იქცევა და სიცოცხლეს შენეშებს.

ცხოვრებას უნდა მიჰყვე, მის რიტმს, ტემპს ფები აუწყო, თორემ ჩამორჩები და უინტერესო გახდები მყაურებელისთვის. 20-ე საუკუნეში კამერტონის სიბშირეც კი ამაღლდა. ამასწინათ ჩვენი ანსამბლის 1996 წლის ჩანაწერი რომ ვუსმენდით, გამეყინა, იმდენად ნელი, განელილი მერყენა. თუ მაშინ "ჩაკრულოს" ნ წუთს ვმღეროდით, დღეს კნ წუთში ვეტყვი, ასევეა საცეკვაო მუსიკაც... წარმოუდგენელია იმ ტემპით წარსდგე თანამედროვე მყაურების წინაშე, რომელშიც ადრე ვასრულებდით. მერნმუნეთ, აღარ მოგწონებთ, მითუმეტეს, არ მოეწონება უცხოელ მყაურებელს...

— ბატონო ჯემალ, ხშირად იმასაც გასაყვედურობენ, "ერისიონის" კონცერტები ძირითადად უცხოელ მყაურებელზეა გათვლილი, ხოლო ქართველი მყაურებისთვის გაიმკვიფრებულია...

— კარგია, რომ მკითხეთ, რადგან მეც მსურდა ამაზე საუბარი. საქმე ის გახლავთ, რომ ეს დიდი შოვა, რომლის გამართვა, ტექნიკურად უზრუნველყოფა უზარმაზარ თანხებს მოითხოვს. საქარია დიდი დარბაზი, დიდი სცენა, უახლოესი აპარატურა, განათება, რისი საშუალებაც საქართველოში არ არის. სხვათაშორის ეს უცხოეთშიც პრობლემაა, ბელგიაში, მაგალითად, მხოლოდ ერთი დარბაზი აქვთ ასეთი.

თუმცა მთავარი პრობლემა ჩვენიან მაინც უსახსრობაა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენ ხანი ვეძებდით სპონსორს იმ კონცერტებისთვის, რომელიც ამასწინათ ოპერაში გაემართეთ. აპარატურის თითქმის ნახევარი ბელგიადნ ჩამოვიტანეთ, ჩამოვიყვანეთ მათი სპეციალისტებიც, რაც ძალიან ძვირი სიამოვნებაა, არადა, ამ განათების და მიკროფონების გარეშე შოუს ფფექტს ვერაფერი მივაღწევთ. ამას ემატება მსახიობთა პონორარები, სხვა ხარჯები... ეს ყველაფერი რომ დაიფაროს (მოგებაზე აღარაფერს ვამბობ), მარტივად დაგითვლით: კონცერტი სამთავისაკენ დარბაზში უნდა ჩავატაროთ და ერთი ბელგია საშუალოდ 80 ვერო ღირდეს. მითხარით, ვინაა ეს შესაძლებელია დღეს საქართველოში? ამ სიძვირის გამო

ვერც საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა ყიდულობს "ერისიონის" კონცერტებს.

ეს ბიზნესია, მოუბიზნესი, რომელიც ხარისხიან პროდუქციანზეა გათვლილი და ამ ხარისხს ვერ უღალატებ. ამდენად, მარტო მყაურების კი არა, ეს ჩვენი ტკივილიც არის...

— მიიღეთ, კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს შევეხები, უფრო სწორად სკანდალს, რომელიც "შატლის ასულთან" დაკავშირებით აგორდა...

— მართლაც ძალიან ცუდი პრევენციი მოხდა. ვითომდა, იმის საჩვენებლად, რომ ჩვენს ქვეყანაში საავტორო უფლებები დაცულია, ხოლო სასამართლო ობიექტუ-



„საცეკვაო“

რისთვის გამოყენება მოინდომეს, ალბათ, კერძო ინტერესების გამო ის სულაც "ერისიონის" წინსვლა არ მოენოდა... მაგრამ ეს ასეთი საგაღალლო არ იქნებოდა, მხოლოდ ამ ლექსით რომ დამთავრებულიყო ყველაფერი (ბოლოსდაბოლოს, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ერთი სუსტი ლექსია და სრულიად უმტკიცენელოდ ამოვიღეთ ჩვენი რეპერტუარიდან). ყველაზე ცუდი მოხდა ის, რომ მას შემდეგ თვითმარქვია ავტორი გამოუჩნდა "ჩაკრულოს", "წინწყაროს", "შენ, ბიჭო, ანაგურელოს" — 29 ქართულ-კახურ სიმღერას... ვინაა ამის დაშვება შეიძლება? ვინაა ეს არ უნდა გაეთვალისწინებინათ ე.წ. ავტორთა დამცველებს? ეს დანაშაულია, ერის მურაცხყოფაა, მისი სულიერების, ეროვნული საგანძურის ხელყოფაა, რასაც ასე ნამდვილად არ დავტოვებთ.

საბედნიეროდ, საზოგადოება მიხვდა ამ ფაქტის საშიშროებას და თუ "შატლის ასულის" შემთხვევაში მარტონი ვიყავით, დღეს ბევრი თანამდგომი გვყავს.

მინდა ერთი რამ კარგად გავაცნობიროს ყველამ: ქართული ფოლკლორი უჩვეულო ხელფასებზეა მთელს მსოფლიოზე და შოვლად და მოფრთხილებაც განსაკუთრებული, უჩვეულო სჭირდება. არსებული სტანდარტებით მისი დაცვა საკმარისი არ არის, ასევე უჩვეულო კანონებით უნდა დაეცევათ იგი, რათა ვილაცის კერძო ინტერესებს არ ეწინააღმდეგოს.



ეკა ბუჯიაშვილი

# სვდინი მელოდია... მკითხველისათვის

გაივლის წლები და ფურხალ „ქვენი მწერლობის“ რედაქციაში მყოფ მერაბ ზურაბაშვილს ჩვენი საუბრის დასასრულს რომ ეკითხვა:

- არაბულის სწავლას რომ იწყებდით თუ ფიქრობდით, რა შარში ყოფდით თავს-მეთქი, მეტყვი:

- ფურხალისტიკის ფაქულტეტზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ სტაჟი არ მქონდა და საბუთები აღმოსავლეთ-მცოდნეობაზე შევიტანე, რომ მეორე წელს იოლაღ გადამეტანა, მაგრამ მოხდა ისე, რომ იმ ერთმა ნელნადმა მთელი ჩემი ცხოვრების გზა განსაზღვრაო

ეს გზა კი საკმაოდ რთული, საინტერესო და ფათურაქებიანი აღმოჩნდა.

არაბული ლიტერატურის თარგმნის პარალელურად მას ცხელ ნერვულუბაში მოუწია თარგმნადა მუშაობა.

ახლანა ის ურყავად დაბრუნდა და ჩვენი საუბარც სწორედ ამ თემით დაიწყო.



მერაბ ზურაბაშვილი

## ფურცელი მკვდარი ქალაქის დღიურიდან

ეს იყო ოთხთვიანი მივლინება ერთ-ერთ კერძო ფირმაში, - მაიმბობს ბატონი მერაბი, - ჩასვლისთანავე, აეროპორტშივე მივხვდი, რომ ვითარება უფრო მწვავე და დაძაბული იქნებოდა, ვიდრე წარმომეძგინა.

მე მოვხვდი ომში.

სასწრაფოდ ჩაასვეს კარგად შეჯავშნულ მანქანაში და მაშინ პირველად ეჩხერ ჩემს ფეხებზე იარაღის რამდენიმე წყება.

მინის იეთი ხუბდავი მკვდარ ქალაქს.

ბალდადი გაჩერებულია, იქ ყველაფერი დუმს იარაღის და სიკვდილის ვარდა.

ერთადერთი, მხოლოდ ქურთისტიანში გრძელდება ცხოვრება ჩვეული რიტმით. ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში.

ურაყში ვითარება დაძაბული იმიტომაც, რომ ქვეყნის შიგნით ორ რელიგიურ დაფუძვლებას შორის დაპირისპირება უფრო დიდი და მძაფრია, ვიდრე ბრძოლა უცხო ქვეყანასთან.

სურვილები და შიიტების კონფლიქტი სამოქალაქო ომამდე მიდის.

ასე იყო სადამ ჰუსეინის დროსაც, მანამდეც და ახლა უფრო განვავებულია - ამ ყველაფერს უკვე პოლიტიკუ-

რი საფუძველიც აქვს. ზოგიერთ ძალებს აწყობთ ეს ურთიერთდაპირისპირება და არეულობა ქვეყანაში, რათა ამით თავიანთი იქ ყოფნა გამართლონ.

ურაყელებს კარგად ესმით, ვინ სარგებლობს ამით, იცნან, რომ აუცილებელია გაერთიანება, მაგრამ ვერ ხერხდება. წლების მანძილზე არსებული უთანხმოება მაინც იჩენს თავს, მითუმეტეს, რომ ეს ყველაფერი კარგად არის პროვოცირებული უცხო ძალების მიერ.

ქრის ქარი - სხვა მხრიდან მიგარდნილი, იქაური ცეცხლის გასაძლიერებლად.

უცხოელებთან მომუშავე სუნიტებს, რომლებიც ძლივს თანალობენ სამუშაოს და ყველაფერზე თანაშინაირიან „პური არსობისას“ მოსააოვებლად, მტრად ეკიდებიან შიიტები, როგორც მოლაპატენტებს და სადაც შეძლებენ, იქ უსწორდებიან.

თუმცა აკი გითხარით, მიზეზი გაცილებით ღრმავა, უფრო შორიდან მოდის და რელიგიურ საფუძველს ემყარება.

ეცხოვრობი სასტუმროში, რომელსაც შემორტყმული ქაინდა გალაქანა და კარგად იყო დაცული.

თავიდან, ვიდრე გავერკეოდი, როგორ უნდა მოქცეულიყავი, ყოველი აფეთქების ან სროლის ხმის გაგონებაზე ფანჯრის მინას მივანყდებოდი-ხოლმე.

- სადაღაც შორს (ხან ახლოსაც) კეაილი ასდიოდა ქალაქს.

მკვდარ ქალაქს, სადაც შუე ჩადიოდა, ამოდიოდა, ოღონდ დრო გაჩერებულიყო ომში.

ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელი იყო, როცა სასტუმროს გარეთ გვიხედავდა გასვლა, შორს არა - 2-3 კმ-ის რადიუსში.

ამ დროს ჯავშნიანი მანქანის პატარა საკმლიდან ვხედავდი ათეულობით ყუოს (კუბის ამას ვერ ვუწოდებ. ისინი ხომ მის გარეშე მარჩავენ მიცვალებულს).

ქალაქში დადიოდა სიკვდილი.

ის იყო ყველგან და ყველაფერში თვით მზის თვალის გუვიდანაც იმზირებოდა და საშინელება იყო ის, რომ ბალდადი მისჩერებოდა მას.

ბალდადი ცხოვრობდა სიკვდილთან ერთად.

ჩემთვის საოცრებად დარჩა ერაყელი ხალხის ბუნება. ისინი ისეთი დათრგუნულები, ისეთი დაბეჩავებულები არიან ფიზიკურადაც კი სხვაგვარად გამოიყურებიან, თვალელებშიც კი ღამე უდგათ, ოღონდ თუ ახლოდან ჩახვდავ, ამ უკუნივთის სიღრმეშიც დაინახავთ სინათლეს - ეს არის მათი გენეტიკური ნიჭი და უნარი დასაჩვენისა, მომავლის რწმენისა.

მხოლოდ ძველი ცივილიზაციის წიაღიდან და კერძოდ მომავალ ხალხს შეიძლება ახასიათებდეს ასეთი რამ.

თუ დაგინახეს, რომ პატვის სცემ, უაღრესად ენთელმობილები ხდებიან. როცა გაიყვან, რომ არაბული კეა და კულტურა მიყვარს, აღარ იცოდნენ რით ეამბიონათ, როგორ გამოეხატათ კეთილგანწყობა. ისინი მიმღეროდნენ სიმღე-





რებს სიყვარულზე, სიყვარულ იქ ყველა მეორე მღერის  
ოლინდ იმდენ სევდაა ამ მსოფლიოში, იმდენი ნაღველია.

ფუსუნდო მათ. მესმინდა ამ ადამიანების გულსტკიერების  
და თანდათანობით ძალიან ახლებული ხეობადა ჩემთვის ეს  
გარემო, ეს ხალხი, ეს სევდა, ტკივილი, იმედი, რწმენა.

ბევრი კარგი მეგობარი (სადკო პაპიძე) შევიძინე იქ.  
ბევრი რამ ვისწავლე მათგან – მხოლოდ ენა კი არა, გუ-  
ლისთქმაც მესმოდა უკვე მათი.

და როცა სამშობლოში ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი  
ჩემს ქვეყანაზე, ხალხზე, ჩვენს უნარზე გადარჩენისა;  
რწმენაზე მომავლისა

იმ გენეტიკურ ნიჭზე, ძველი ცივილიზაციის კერიდან  
მომავალ ხალხს რომ სჩვევია მხოლოდ.

და კი არ ვფიქრობდი, სულ უფრო ახლოს და ახლოს  
მესმოდა სეფიანი, მაგრამ ასე იმდენიანი მსოფლია – აი, ის  
სიმღერები – სიყვარულზე, სიყვარულზე  
იმდენი რამ იყო ჩაქსოვილი მათში

**ისტორიული ცნობები,  
განვიერული ცნობები და  
გზაზე დაყვანილი ლიტერატორი**

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ისტორიის  
განხრით დაგამთავრე. ერთხანს სკოლაშიც ვასწავლიდი ამ  
საგანს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სსრკ დაიშრა, ყველაფე-  
რი გადაფარდა და ბევრი ფაქტი ისტორიაში გაყალბებული  
აღმოჩნდა, გული ამოვირეუდა და ფილოლოგიაში გადავე-  
დი. დისტრტაქციაც ამ სფეროში დავიცავი, იღონე შევეცა-  
დე ისეთი საკითხები შეგმსწავლა, ორივეს რომ მოიცავდა  
და თუნდად აკორიცი: ისტორიული სინამდვილის ასახვა  
ჯორჯი ზაიდანის რომანებში.

ეს იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასა-  
წყისში მოღვაწე მწერალი, რომელმაც არაბულ ლიტერატუ-  
რაში ისტორიულ რომანს ჩაუყარა საფუძველი, თუკი  
უოლტერ სკოტის მსოფლიო მწერლობაში ითვლება ამ ტან-  
რის მამამთავრად, არაბულში ამას ჯორჯი ზაიდანს მიანე-  
რენ. მას ოცდადარი ისტორიული რომანი აქვს და თავიდან  
ფიქრობდი დისტრტაქცია დამწერნა მთლიანად მის შემოქ-  
მედებაზე, რომელიც მთელი არაბული ქვეყნების ისტორი-  
ას მოიცავს, ისლამამდელი პერიოდიდან XX საუკუნის და-  
სასრულამდე – თურქეთში მომხდარ რევოლუციამდელ პე-  
რიოდამდე.

წლების მანძილზე ვკითხულობდი და ვაწვდილობდი.  
ბოლოს ჩვენი კათედრის ხელმძღვანელმა, აპოლონ სო-  
ლაგაძემ დამაყენა სწორ გზაზე: ოცდადარი რომანი თუ გა-  
ნივლი, ძალიან შორს წაგიყვანს, რამდენიმე თიხე-  
მძლეველიყო.

მეც სამი ნაწარმოები შევარჩიე და შევისწავლე როგორ  
იყო განხილული მათში ისტორიული ფაქტები – სწორად  
თუ გაყალბებულად. ვადარებდი ისტორიულ წყაროებს და  
აღმოჩნდა, რომ იყო განსხვავებებიც, შეცდომებიც, თემ-  
ც კვლევისას გარკვეა, რომ მწერალი შეგნებულად კი არ  
აყალბებდა ფაქტებს, უბრალოდ, ის წერდა მაშინ, როცა  
ბევრი ისტორიული მოვლენა ჯერ კიდევ არ იყო სწორად  
შეფასებული, ამიტომ მწერალიც ძალაუხმებურად არსებუ-  
ლ წყაროებით სარგებლობდა.

მერე კი, როცა მეცნიერება არაბულ ქვეყნებშიც განვი-  
თარდა და უფრო სარწმუნო გახდა ამა თუ იმ მოვლენის  
თარიღი და მოწარისიც, აღმოჩნდა, რომ მის ისტორიულ  
რომანებში შიყვანილი ფაქტები ზოგ შემთხვევაში არ შეე-  
საბამებოდა რეალობას.

ჯორჯი ზაიდანს ამას შეგნებულად არ აკეთებდა, თემ-  
ც ასევე რომ ყოფილიყო, მხატვრულ ლიტერატურაში ასე-  
თი რამ დასაშვებია.

არის შემთხვევები, როცა ავტორს ეს უფლებაც ჰქვია.  
საერთოდ, მას დიდი წვლილი აქვს არაბულ ლიტერა-  
ტურაშიც, ისტორიაშიც, გეოგრაფიაშიც მან თავისებური  
– „სატელეგრაფო სტილოც“ კი შექმნა არაბულ ენაში.

ჯორჯი ზაიდანის დაარსებულია „ალ-ჰილალი“ – ძა-  
ლიან ცნობილი ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც ახ-  
ლაც განავრცობს არსებობს.

ამ გამოცემაში დაიბეჭდა გამოხმაურება ჩემს დისერ-  
ტაციაზე:

ეს პირველი ასეთი სახის გამოცვეცევა ევროპულ უნი-  
ვერსიტეტებში.

თუმცა მეტერ აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ ევროპაში,  
არაბულ ლიტერატურათმცოდნეობაშიც არავის განუხი-  
ლავს ამ მწერლის შემოქმედება ასეთი კუთხით.

**ის სახელმწიფო საიდუმლოა ანუ  
აბა აბაპაპი პაპისა და ლომისა**

იყო ასეთი მომენტიც –  
როგორც სამხედრო ვალდებული, თარჯიმნად უნდა  
წავსულიყავი ალჟირში. იმ დროისათვის 71-ე პროტექცი-  
ურ სასწავლებელში ვმუშაობდი ისტორიის მასწავლებ-  
ლად.

მოსკოვში, თავდაცვის სამინისტროში მიმინევის გასა-  
ხრებაზე, მაგრამ რალაც მიზეზების გამო ჩასვლა დაგა-  
ვიანდა, ის ჯგუფი დაკომპლექტდა და მე დამტოვეს სსრკ-  
ში.

სამხედრო ვალდებულება ისეთი რამ იყო, ვერ ავიცილე  
და დაერქნა.

ალბათ ესეც ბედი იყო – სამხედრო თარჯიმნის სამსა-  
ხური ხომ ძალზე დიდი გამოცდილების მომცემი აღმოჩ-  
ნდა ჩემთვის.

უკრაინაში, უცხოელთათვის განკუთვნილ სამხედრო  
ცენტრებში მომინა მუშაობა. იქ მომზადებას გადიოდნენ  
სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ოფიცრები, სწავლობ-  
დნენ ჩვენს ტექნიკას, შეიარაღებებს და მერე თავიანთი ინ-  
ტერესებისათვის იყენებდნენ.

იყო თუ არა ეს საბელშიფირო საიდუმლოება?  
ცხადია, იყო და ბოლომდე არც გაიცივლიდა, იმ კატისა  
არ იყოს, ლომს ზეზე ასვლა რომ არ ასწავლა.

ერთ ამბავსაც მოგიყვებთ ამის შესახებ:  
ჩემი საქმე იქ თარჯიმნა იყო.

მეგონა ენა ვიცოდი, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივდა,  
აღმოჩნდა, რომ ეს ჩემი ცოდნა სრულყოფილებისას ვერ  
კიდევ შორს იყო.

პირველ ტეპაზე მთელი დამეძიე ვმუშაობდი. არაბული  
კი არა, რუსულიც ცუდად მესმოდა თურმე – ტექნიკურ  
ტერმინოლოგიას ვეულისხმობ.



ერთხელაც ასეთი რამ მოხდა: ერთი ახალბედა კაპიტანის ლექცია კათედრის გამგე დაესწრო იმის შესამოწმებლად, თუ როგორ მიდიოდა სწავლების პროცესი. მახსოვს, მას ღიბანქლებისთვის ტანკის მართვა უნდა აეხსნა.

კითხვების დრო რომ მოვიდა, ერთ-ერთი მსმენელი ძრავის რომელიღაც ნიუანსით დაინტერესდა.

კაპიტანმა ღრმა მეტეორული ახსნა დაიწყო იმისა, თუ რა პრინციპით მუშაობდა ეს მექანიზმი.

სულ ორი-სამი კვირის მისული ვარ. ამ უცნაურ ტერმინოლოგიებს ველარაფერი გავუგე და ვგრძობ, რომ ვერ ვთარგმნი, მაგრამ გაჩერებაც არ შეიძლება – ის კათედრის გამგე მეც მაკვირდება და ხომ არ შევიძინე, რომ არაფერი მესმის. ჰოდა, შალთან სერიოზული სახით ვაგრძელებ – თითქოს იმასვე უთარგმნი, რასაც კაპიტანი ლაპარაკობს: – მართალია თქვენ ეს საკითხებზე გაინტერესებთ, მაგრამ აქ მეტად რთული ნიუანსებია, ამ ყველაფერს სწავლების პროცესში თანდათანობით გაგივებთ-მეთქი.

ლექცია დაითავრდა. ამოვისუნთქე.

ცოტა ხანში კათედრაზე შევედი, მეორე დღის მასალა უნდა ამელო და რას ვხედავ – იქაურობა საესკა. ასე ოცამდე კაცი ხის. შეგრებიდან კათედრის კომპარტიის ნეკრები და განიხილავენ კაპიტანს საკითხს:

– მართალია ახალბედაა, მაგრამ ამ სულელს იმდენი ხომ უნდა ესმოდა, რომ ეს საკითხი სახელმწიფო საიდუმლოებაა და მისი ბოლომდე ახსნა არ შეიძლებაო? მითხრე მე ვადამოხმედეს: საშუალოდ თარჯიმანსაც ვყველაფერი სიტყვასიტყვით უთარგმნაო.

კაპიტანს, სულ მეორე, პარტიიდან გარიცხვა ემუქრება. მისი ნაოცრებარი ოფიცრის კარიერა თავზე უნდა ემსხრქვა. მე კი ვამბობ:

– იცით ლექციაზე ვყველაფერი არ მოთარგმნა-მეთქი. აურზაური უცხად ცხრება. სამარისებური სიჩუმე ვარდება. ყველა მე მომხერება. პოლკოვნიკი კი მოვიდა ჩემთან და გადავიტყვი:

– მე იმ ნუთას ვერ მოვახერხე თქვენთვის რაიმე მენიშნებმა, თქვენ კი თავად მიხვდით, რომ სახელმწიფო საიდუმლოსთან გვექონდა საქმე, რისთვისაც დიდ მადლობას ვგიბოთ.

გარკვეულ ხნის შემდეგ წავდებ ნომინატს – უფროსი ლიტერატორი ვაზხან.

ჯილდოდ სიგელიც მომიცეს „საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის“ და რამდენიმედღიანი შეუბღობითაც გამომიშვეს სახლში.

მერე, როცა ხანი გავიდა და მე უკვე ვყველაფერს თავისუფლად ვთარგმნიდი, აღარ ვერიდებოდი და არც უკუვირდებოდი, რისი თქმა შეიძლებოდა და რისი იყი ერთ რამეც ვთარგმნი, რისი მოსმენა ჩემთვისაც კი არ შეიძლებოდა თუნცე. მემოივდე განყოფილების უფროსისგან საყვედური მოვიმინე. მინ დაბრუნების შემდეგ კი სკოლაში მომაკითხეს „ზემოდან“. დირექტორის კაბინეტში დამიბარეს და გულწრფელად მითხრეს:

- უშიშროებიდან ვართ და ესა და ეს საკითხი გვაინტერესებს.
- არ მახსოვს-მეთქი, - ვუუბნებ.
- ისინი მაინც თავისას აგრძელებენ – ხან ასე მომიხდებოდა, ხან ისე, მე კი ჩემსაზე ვდგავარ, მხრებს ვიჭრე: ნარ-

მოდგენა არ მაქვს, რაზე მელაპარაკებთ, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერს ხომ ვერ დავისწომებდი-მეთქი.

ერთი საათის მანძილზე გრძელდება დაკითხვა-სუბარო. როგორც იქნა „დადარმუნე“, რომ არაფერი ვიციოდი.

როცა გამოვედი კაბინეტიდან, ერთმოდებებისას ერთ-ერთი ისე მეკითხება:

- მართლა არ გახსოვთ თუ ასე კეთილსინდისიერად უდგებოთ თქვენს სამუშაოსო?
- არა-მეთქი, - ვუბასუხე, რაღას შეცვლიდი ჩვენებასო, - მუუბნებდა ბატონი მერაბი.
- დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ და ახლა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში მყოფს მე ვაცვივდები:
- მართლა არ გახსოვდათ, ბატონო მერაბ, თუ - რომ გითხრათ, სულ არაფერი მახსოვდა-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ მაშინ იმათთვის ერთი რამეც რომ მეთქვა, იმას მეორე მოვეხებოდა და კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდაო.

### როცა დასასრულს რამდენიმე წუთი აკლია

ლობაშიც იმავე 71-ე პროფესიული სახანველებიდან მოუვლინათ 1987-90 წლებში.

საკაპირო პროფეტქვანათლების კომიტეტს თარჯიმნების ჯგუფი უნდა გაეკავანა.

ეს იყო ძალზე მაღალ დონეზე ორგანიზებული მოვლენება.

ლობაში მაშინ ათასობით საბჭოთა სპეციალისტი მუშაობდა. მთელ დასახლებაც კი იყო სკოლით, საბავშვო ბაღით, კინოკლუბით და ასეთი სახელწოდებით: „რუსული სოფელი“.

ეცხვორობით შემოსახლვრულ ზონაში, საიდანაც ჩვენი ნებით ვერ გავიდოდით, - მიამბობს ბატონი მერაბი, - სამსახურში მიყვავდით ავტობუსს, ბაზარში გავდიოდით კვირაში ორჯერ, ქალაქში ვასვლდის უფლება კი კვირაში ერთი დღე გვექნოდა. ერთხელ ავტობუსულ დამავკონანდა, სამსახურში ტაქსით წავიქო და საშიხელ საყვედური მივიღე უფროსობისაგან: არავითარი კერძო ინიციატივაო.

დაძაბული ვითარება იყო. ყოფილა შემთხვევები, საბჭოთა მოქალაქეები მოუკლავთ და ჩვენს უსაფრთხოებაზე განსაკუთრებით მკაცრი ზომები იყო დაწესებული.

მეორედ ლობაში მაშინ წავიქო, როცა აქ ვყველაფერი აირია. ეს იყო 1993-96 წლები.

მძიმე დრო ედგა მაშინ საქართველოს.

ვერძობოდი, აქ რომ დაგრწეულიყავი, დავიღუპებოდი. ოჯახს კი არა, საკუთარ თავსაც ვერ გადავარჩენდი, რადგან მე მხოლოდ ჩემი პროფესიით მემეძლო არსებობა, სხვას ვერაფერს მოვიკიდებდი ხელს. ამ საკონტებლში და საფიქრალში ვიყავი, როცა მსსსელად გაისმა ზარი:

- ლობაში თარჯიმნები გვეჭირდება და ხომ არ წამოხვალთო?
- ჩავედი. მარტო მე არა, მეგობრებთან ერთად - ასმათ რუმბოვლი და ნანა მალაქლიძეც წამოვიყენე ჩემთან ერთად. მათ ძალიანი გვასახლებს იქ, როგორც კარგმა ქართველმა ქალებმა და ნამდვილმა პროფესიონალებმა.



ჯერ კიდევ არასტაბილური იყო სიტუაცია. არსებობდა არა მხოლოდ ამერიკელთა თავდასხმის საშიშროება, იმ პერიოდში ქვეყნის შიდა ოპოზიციურმა ძალებმაც ნამოყვებს თავი და ვითარება დაძაბული იყო.

ცოლ-შვილი ჯერ ისევე აქ მყოფადა. ახალი ჩასული ვიყავი, როცა ასეთი რამ შეგვემოხვდა:

ჩვენს დასახლებულ პუნქტთან მდებარე იარაღის ქარხანაში ძალიან დიდი აფეთქება მოხდა.

ჯერ იყო და მინა მეზანზარდა.

ვერ ვხედავდით რა ხდებოდა, მაგრამ ის კი გავიფიქრეთ, რომ მიწისძვრას არ ჰგავდა.

გარეთ გამოცვივდით და ჩვენს თავზე უხარმაზარი სოკოვანი ღრუბელი დაეინახეთ.

ვიფიქრეთ, რომ ეს იყო ატომური აფეთქება.

პანიკამ მოიცვა ყველა და ყველაფერი. ადამიანები თავგანაზრებულად დარბოდნენ სამალავის მოსაძებნად, ჩვენ კი:

მე, ამამთბო და ნანამ ხელი ჩავკიდეთ ერთმანეთს და დავინწყეთ „შველგოს“ სიმღერა.

ეს იყო მომენტო, როცა გვევინა, რომ დასასრული რამდენიმე წუთი აკლდა.

ახლაც კი უნებოციად ვერ ვიხსენებ ამ წამებს.

თვალები დახუჭული გვექონდა, რომ არაფერი დაგვენახა, არ დაგვეჩინა, როგორი იქნებოდა აღსასრული.

ერთადერთი, რაზეც მაშინ ვფიქრობდი იყო ის, რომ ღმერთის მადლობას ვნირავედი, ოჯახი იქ რომ არ მყოფადა – შეიღო ხომ მაინც დამრჩება-მეთქი.

რამდენიმე ხნის შემდეგ თვალს გავახილე და დავინახე. აღმოჩნდა, რომ არ დავბრმავებულვარ, რასაც ბუნებრივად ველოდი ატომური აფეთქების შედეგად.

– მაგონი გაბაფრით, თვალები გახილეთ, ჩვენ ხევადავთ-მეთქი.

ჩვენ მართლაც ხევადავით.

ხევადავით მეზანზარებულ მინას.

მაე კვამლიმ გახევეულ არემარეს.

და უზანზარ თვალებს მიიხსა, ასე ახლოს რომ ჩავხედეთ მაშინ.

### დავსაზ მონაზული გიდისნარა და ინფორმაცია ტელევიზიებისათვის

– როცა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ახარებდით და არაბულის შესწავლას აპირებდით, თუ ხედეზობდით, რა შარში ეხვეოდით-მეთქი? – ვეკითხები ბატონ მერაბს.

– არ ვაპირებდი, – მიხსნის იგი, – ჟურნალისტიკა მინდოდა, მაგრამ იმ ერთმა წელწინდამა მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, პედაგოგები შემზღვედნენ ისეთი, აღარ გადამიტანია საბუთები. წარმოიდგინეთ, მასწავლიდნენ: ნანა კოლაძე, ალექსი ლუკიაშვილი, მია ანდრონიკაშვილი, აპოლონ სილაგაძე მათ შემოაბრუნეს ჩემი ცხოვრების ჩარხი. მას მერე ვთარგმნი და ვთარგმნი.

– ახლანდეს ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა თქვენი ინტერვიუ არაბ მწერალთან ფარუქ ჯუეიადისთან. თქვენ მისი ლექსებიც თარგმნით. საინტერესოა ახლა რაზე უნდათ ამ თვალსაზრისით?

– ძალიან მომეწონა პოეტურ თარგმანზე მუშაობა, მაგრამ არაბებს ასეთი კლასიკური ძეგლი არაბულ ლიტერატურაში – იმ ტრადიციის კამბეჯი პაი იმნი იაკუნანზე“, რომელიც, საშწნაროდ, ჯერ არ არის გადმოქართულებული, არადა, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი მხატვრული-ფილოსოფიური ნაწარმოებია და მინდა ამ საქმეს მოუკიდო ხელი. თუმცა პარალელურად ალბათ ვერც პოეტური თარგმანს შეველევი და ჯუეიადის სხვა ლექსების კრებულებითაც დავინტერესდები.

– არაბულ ქვეყნებში სამუშაოდ წასვლას კიდევ აპირებთ?

– რა თქმა უნდა! იცით, თარგმნობა უკვე არამარტო პროფესიაა ჩემთვის, არამედ მთლიან არის. მარტო თარგმნით ვერ ვკმაყოფილდები, თუ იმ გარემოშიც არ ვცხოვრობ, ისე ვერ შევიგრძნობ მათ სამყაროს. ეს მონატრებაცაა – მეგობრების, იქაურობის, იმ სევედანი სიმღერის, ტკივილიანიც რომ არის, უზომო ნაღველით საცეს და ამავე დროს, იმედანიც თითქოს ეს გრწნობაც იმ შელოდიას ჰგავს – თან გიხიდავს, თან გიარგუნავს

სადაც იქნება სამუშაო, იქ წავალ – ერაყშიც, ცხელ წერტილებშიც, მოვლენების ეპიცენტრშიც

– არ ვიფიქრით ამ ყველაფერზე დაგეწერთ?

– გიჟი და იცით რატომ? მე, როგორც სახმელრო თარგმანი, ვალდებული ვარ ბევრი რამ საიდუმლო შევიჩინო, ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანს ვერ დავწერ, ისე კი აბა, რა ფასი აქვს!

იმაზე კი მიფიქრია, რომ თუკი რომელიმე ტელევიზია დანტერესდება, რეპორტაჟებიც შემიძლია ჩამოვიტანო ცხელი წერტილებიდან, ყოველდღიური ინფორმაციაც მიცანოდა მომხდარ მოვლენებზე

– არასოდეს გინანიათ ეს გზა რომ აირჩიეთ?

– არასოდეს! ჩემი მეგობრები ზოგი სამედიცინოზე სწავლობდა, ზოგი საინჟინროზე ან სხვა რომელიმე პრესტიჟულ ფაკულტეტზე. ვინ უნდა გამიხივებო? – მეკითხებოდნენ. არაბისტი-მეთქი, – ვპასუხობდი. არაბისტი კი არა, არაფრისტი გამოხვალო – იცინოდნენ, იცინოდნენ მეც მათთან ერთად ვიცინობდი.

წლები გავიდა მას შემდეგ, ძალიან რთული და მძიმე წლები.

გახსოვთ როგორ შემოებრუნდა ჩვენს ქვეყანას ყამ-საბრუნავი.

თავმა დაიკარგა მაშინ. ბევრმა ვერ იპოვა თავისი ადგილი, საშწნაროდ.

მე კი არაბისტივინა ვადავარჩინა.

– ხომ იცით, სადაც არის ბედი შენიო

ბუდისტურის გვერათ?

– იცით, ამ რამდენიმე ხნის წინათ რალაც თარგმანს ვევეტი, როცა ასეთი კადრი წამოტივტივდა ბავშვობიდან:

სკოლაში რომ დავდიოდი, დასვენებზე ხშირად დაფასობთ ვიდეტი, რალაც უცნაურ ფიგურებს ვხაზავდი ცრკით და ბავშვებს ვატყუებდი: არაბული ასოებიამეთქი.

და აი, დიდი ხნის მერე, როცა უკვე ამ საქმეს ვემსახურებოდი, გამახსენდა, რომ ის, რასაც მაშინ ვხატავდი დაფასზე, მართლაც ძალიან ჰგავდა არაბულ ასოებს.

ვინ იცის იქნებ შემთხვევით არაფერი დგება.

იქნებ საკუთარ ბედისწერასაც ვხაზავდი მაშინ.



გივი ალხაზიშვილი

# მოხავალი წარსული

**გამარჯობა, ფიტრო!**  
(ლია ნერილი ფიტრო ჩაჩადნიჩანქოს)

არ ვიცო, ოდესმე მოაღწევს თუ არა შენამდე ეს წერილი, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, ორიოდე სიტყვით შეგცხმიანო. ისიც შეიმჩნევა, რომ საშუალება მაქვს, რაღაც ჩილაჩავას გაეფუგზავნო ეს წიგნი და მისი მემკვირვებით ნიეტყო ის, რასაც ვწერ. რაღაც ჩილაჩავა ახლა უკრაინის სასულიეროებიათი ელზოა ლატვიამ და მახარებს, რომ ჩემი თაობის მშვენიერი ქართველი პოეტი ასე ერთგული და მნიშვნელოვანი მოვლად იქნა და ქართველ-უკრაინული მეგობრობის კონკრეტული მაგალითია. მე არ ვერთხელ ვყოფილვარ კივში, ესტუმრებოვარ რაღაც ჩილაჩავასაც, ამ კაცმა დიდი ტრავმადია გადაიტანა და, მიუხედავად დაფიქსირებული ტრავმისა, დღესაც მხნედა და ენერგიულად განაგრძობს თავის საქმიანობას.

უკრაინაში მრავალჯერ ვყოფილვარ და ყოველთვის სიყვარულით ვისჩენებ იქ გატარებულ დღეებს.

მასხუს პირველი სტუმრობა ლეოვში, სადაც თბილისის უნივერსიტეტის სატელეფონ ორკესტრთან ერთად გასტროლზე ვიმყოფებოდი და ლეოვის უნივერსიტეტში კონცერტი გაემართეთ. ეს იყო 1961 წელს, როცა პირველ-კურსელი ზოტი შედმეტად თამაში და ზედმეტად მოხიბული ვიყავი იჭარობით. მეორედ ქალაქ ნიკოლაევიში გამართულ ახალგაზრდა პოეტების საკავშირო ფესტივალზე ჩამოვიყვანი 1968 წელს. იქაური ამბები შენც კარგად გახსოვს, მაგრამ მე გადამაყინებდა იმ ფურნალისტის გვარი (მგონი, დუბაიკო იყო გვარად), შენ რომ დავასმინა და ჩვენი საუბარი ანტისაბჭოურ გამოხდომად მონათლდა. ახლა ჩაწელილია ის დრო და ჩვენც ხომ მშვენიერად ვიცით, რომ ჩვენი საუბარი, ზუმრობები მართლაც ანტისაბჭოური იყო და რა ექნა იმ ფურნალისტს, რეჟისოს ერთგული თავის მოვალეობას ასრულებდა.

აღნიშნული იმ ამბავში, რომ ფურნალისტმა დაგასმინა უკრაინის მწერალთა კავშირში და ფაქტობრივად შენი დასვა მოითხოვა. 60-იანი წლების მიწურულს ამის გამო აღარ ხერხდებენ, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობდა სასაქუელის ნაირსახეობანი.

როცა შენი წერილი მივიღე, მეგობრებს ნავაციითხე და კოლექტიური წერილი გადავამხმალე. წერილი სტილისტურად მალეა ალხაზიშვილმა გაგვიწმარა, ძველმა გიმნაზისტმა და ბიბლიოფილმა. რასაც ვწერდით, მშვენიერად გახსოვს. იქით დავადანამაშულები ფურნალისტი, რომ ცრუობდა და ცილს გნამებდა. რაგორც რაღაც ჩილაჩავამ შემდგომში შემატყობინა, შენ ჩვენი მადღებრი ყუფილხარა, მაგრამ უნდა გათხრა, რომ ეს ჩვეულებრივი ნაბიჯი იყო და შენც ჩვენსავით მოიქცევიდი მსგავს სიტუაციაში.

